


1921 წლის 21 თებერვალი - საქართველოს პირველი კონსტიტუციის მიღების დღე



1921 წლის 21 თებერვალს თბილისში გამართულ სხდომაზე საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს პირველი კონსტიტუცია მიიღო. დოკუმენტმა მხოლოდ ოთხი დღე იარსება, მაგრამ მისი ისტორიული როლი უმნიშვნელოვანესი იყო. ის ერთ-ერთი პროგრესული კონსტიტუცია იყო ევროპის კონტინენტზე და ჯერ კიდევ მაშინ აღიარებდა ისეთ ღირებულებებს, როგორებიცაა: თავისუფლება, დემოკრატია და სამართლებრივი სახელმწიფო. სწორედ პირველმა კონსტიტუციამ განსაზღვრა ქვეყნის პირდაპირი დემოკრატიის, ხელისუფლების დანაწილებისა და სეკულარული სახელმწიფოს ძირითადი პრინციპები.

1921 წლის კონსტიტუციის შემუშავებაზე მუშაობდა საქართველოს ეროვნული საბჭოს (საქართველოს პარლამენტის) საკონსტიტუციო კომისია (1918 წ. 6 ივნისი - 1919 წ. 8 მარტი) და დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისია (1919 წ. 18 მარტი - 1921 წ. 21 თებერვალი). კონსტიტუციის შემუშავებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს: ნოე ჟორდანიამ, პავლე საყვარელიძემ, სერგი ჯაფარიძემ, გიორგი გვაზავამ, მიხეილ რუსიამ, ლევან ნათაძემ, იოსებ ბარათაშვილმა, აკაკი ჩხენკელმა, გიორგი ნანეიშვილმა და სხვებმა.

1921 წლის 21 თებერვალს, როდესაც საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ თავის საგანგებო სხდომაზე ერთხმად მიიღო კონსტიტუცია, თბილისის მისადგომებთან ბრძოლები მიმდინარეობდა.

“ზარბაზნების ღვანდგარში და ტყეების ზუზუნში მოუხდა დამფუძნებელ კრებას დაწყებული საშვილიშვილო საქმის დამთავრება... დღეს საქართველოს აქვს თავის კონსტიტუცია, თავის პოლიტიკური სახე, რომლითაც იგი თამამად და ამაყად წარდგება მსოფლიოს წინაშე”,- წერდა გაზეთი „ერთობა“.

1921 წლის კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით არსებულ დოკუმენტებში გვითხვლი:

“ამრიგად ქართველ ერს, აღიდგინა რა რუსეთის ბატონობის მიერ დარღვეული უფლებანი, სურს თავისუფლად შექმნას თავისი სახელმწიფო და მოაწიოს თავისი საერთაშორისო დამოკიდებულება, რათა შესძლოს როგორც მის, აგრეთვე კავკასიის საკეთილდღეოდ ხანგრძლივად და უზრუნველყოფით ისარგებლოს თავის აღდგენილი უფლებებით.”

დოკუმენტი ეკუთვნის საქართველოს პარლამენტს და დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში

1921 წლის კონსტიტუცია მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის მსოფლიოს მოწინავე, სრულყოფილ და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული უზენაესი საკანონმდებლო აქტი იყო. „მასში ასახულია იმდროინდელ დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ახლად გაბატონებული, ასევე, ჯერ კიდევ თეორიაში არსებული, პრაქტიკაში განუხორციელებელი ყველაზე პროგრესული, სამართლებრივ-პოლიტიკური მოსაზრებები და მიმდინარეობები. „

„მაქსიმალური დემოკრატიის“ უზრუნველსაყოფად საქართველოს პოლიტიკური სისტემა ასე გამოიყურებოდა:

-საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე პროპორციული საარჩევნო სისტემით პარლამენტი სამი წლით უნდა არჩეულიყო

-პრეზიდენტის ინსტიტუტი კი, როგორც “დემოკრატიისთვის შეუფერებელი” უარყვეს

-შესაძლო საპარლამენტო კრიზისების და პარლამენტის სესიებს შორის პერიოდში მმართველობის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, პარლამენტი ერთი წლით ირჩედა მთავრობის თავმჯდომარეს, რომელსაც პრეზიდენტის გარკვეული უფლებები ჰქონდა მინიჭებული.

1921 წლის კონსტიტუციის ერთ-ერთ მონაპოვარს წარმოადგენს არჩევითი, დამოუკიდებელი და ძლიერი უფლებამოსილებების მქონე ადგილობრივი თვითმმართველობა. კონსტიტუცია ასევე უზრუნველყოფდა ეროვნული უმცირესობების ფართო უფლებებს, რომელთაც ყველაფერი შეეძლოთ თავიანთი ეროვნული ინტერესების დასაცავად. გარდა “სახელმწიფოს მშენებლობისა სახელმწიფოში”. 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებლებმა უარყვეს ფედერალიზმი, როგორც საქართველოსთვის მიუღებელი. “განაპირა მხარეების” შემოსამტკიცებლად და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მისაღწევად შემოიტანეს ავტონომიის პრინციპი, რომელიც, კონსტიტუციის თანახმად, ენიჭებოდა ბათუმის მხარეს, აფხაზეთს და საინგილოს.

პირველ კონსტიტუციაში სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებულნი და დამოკიდებულნი იყვნენ, კონსტიტუცია აცხადებდა, რომ “არც ერთ სარწმუნოებას არ აქვს უპირატესობა; ხარჯის გაღება სახელმწიფოს ხაზინიდან და ადგილობრივ თვითმმართველობათა თანხიდან სარწმუნოებრივ საქმეთა საჭიროებისათვის აკრძალულია”.

ქართველი ხალხისთვის საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია იქცა სიმბოლოდ იმისა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველო, რომელსაც საბჭოთა რეჟიმმა არსებობა არ აცალა.

1921 წლის კონსტიტუციის მნიშვნელობა აღიარებულია 1995 წლის ძირითადი კანონით, როგორც საქართველოს ისტორიულ-სამართლებრივი მემკვიდრეობა.

დიდთოვლობა საქართველოში

პლიმრი თოვისა და რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სააგრომობილო გზებზე გაწმენდითი სამუშაოები და ტექნიკური მარილის გაშლა ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის - ავთანდილ გულიკაშვილის დაავალებით, გზებზე მოძრაობის შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, დასუფთავების სამსახურის მობილური - სამუშაო ჯგუფები და შპს “საგარეჯოს” სპეცტექნიკა მობილიზებულია და შესაბამის ლოკაციებზე გაწმენდითი სამუშაოები პერმანენტულად ხორციელდება.



*ქეთი ბრატიაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი*

მალე გაზაფხული პარს შემოგვიხსნის აღრე საბაზაფხულო სამუშაოები ჩვენს ნაკვეთებში. რა უნდა ვიცოდეთ?!

ზამთრის შემდეგ, ახალი

სიცოცხლე-გაზაფხული იწყება. მიძინებული ბუნება გამოღვიძებას იწყებს და მას ეურადლება სჭირდება. შესაბამის ფორმაშია მოსაყვანი ხეები, ბუჩქები სარწყავი არხები და ა.შ.

აღრე გაზაფხულზე, როდესაც ჯერ კიდევ არაა დაწყებული ხე-მცენარეების გამოღვიძება, საჭიროა მათი ფორმირება და მომზადება. ეს დრო კარგია ნაკვეთში ახალი ხეების დასარგავად. გამომდინარე იქიდან, რომ ყინვებისაგან მარტის ბოლომდე არ ვართ დაზღვეული, უმჯობესია, თუ არ გაერისკავთ ეზოს ყვავილებისა და სუბტი მცენარეების დარგვას.

ხეების ფორმირებას რაც შეეხება, აგრონომიულ ენაზე ამას გასხვლა ეწოდება.

გასხვლამდე.

შს სამუშაო მეტად აუცილებელია მცენარის სწორად განვითარებისა და მისგან მაქსიმალური შედეგის მიღებისათვის. გასხვლის შედეგად ხეს უფრო მეტი ჰაერაცია აქვს, მდგრადია დაავადებების მიმართ და ნაყოფიც უფრო სასურველი მიიღება. გარდა ამისა, გასხვლის შედეგად ხე უფრო მარტივად მისადგომი ხდება თუნდაც ნაყოფის მოკრეფისათვის. იმავე

გასხვლის შემდეგ.

ხე-მცენარეების ფორმირებას ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში მისდევნ და იყენებენ ვაზის, ვაშლის, მსხლის, თხილის, ატმის, გარგრის, ქლიავის ხეებისათვის, ასევე ყოლოსა და ეზოს მაცვლის ნერგებისათვის.

თუ შემოდგომაზე ვერ მოასწარით ნაკვეთის დასუფთავება, ვიდრე კარგად დათბება, აუცილებლად მოაცილეთ თქვენს ბაღს წინა წლის ნაგავი, რადგან ფოთლებსა თუ გამხმარ ხეებში არაერთი მავნებელი ახერხებს გამოზამთრებას და ტემპერატურის მატებასთან ერთად, ისინი გარეთ გამოდიან და თქვენს მოვლილ ხე-მცენარეებზე გადავლენ საკვებად. კარგი იქნება, თუ ამგვარ ნარჩენებს დაწვავთ.

ამ პერიოდში ასევე უნდა უზრუნველყოთ სარწყავი სისტემის მოწესრიგება, იქნება ეს ბუნებრივი თუ ხელოვნური საშუალება. ბუნებრივი სისტემისათვის უნდა გაასუფთაოთ სარწყავი არხები, დაკვალოთ ნაკვეთი. ხელოვნური მეთოდის შემთხვევაში კი, შეამოწმეთ ხომ არ არის ყინვების შემდეგ რაიმე დაზიანება.

აღრე გაზაფხული კარგია ასევე ნაკვეთში ხე-მცენარეების მკვებავი ნივთიერებების შესატანად. აქვე გირჩევთ, რომ გამოიყენოთ ორგანული ნივთიერებები.



„მშობელი მიწაში მიღებას უმჯობესი“ სოფელი პატარაშელი

სანდრო უსტიაშვილი: „პატარაშელი ჩემი მშობლიური სოფელიცაა, შთაგონების წყაროც, საზოგადოებრივი და საინფორმაციო აქტიურობის ასპარეზიც“



მისწავლასაზე, საქმიანი და აქტიური ადამიანები ერთი ასეთი საყურადღებო თვისებით ხასიათდებიან: ყოველი ახალი წლის დაწყებისას აჯამებენ წინა წლის განმავლობაში განხორციელებულ საქმეებს და გეგმავენ ახალ ნაბიჯებს. ამ მიდგომას იყენებენ როგორც პირად ცხოვრებაში, ისე საზოგადოებრივ ასპარეზზე.

კალენდარზე ახალი 2025 წლის პირველი დღეები გადაიფურცდა და ამ შემთხვევაში მინდა მოგიხსნათ **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ გამორჩეულ სოფელ პატარაშელზე**, რომელიც მართლაც სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს.

სხვათა შორის, ხშირად მეუბნებიან, რომ მუდმივად ესაუბრობო ხოლმე სოფელზე, სადაც დაიბადე და გაიზარდე. ამას თავისი მიზეზები აქვს: მოსწავლეობისა თუ სტუდენტობის პერიოდში ბევრს ვკითხულობდი არაერთი უცხოეთის ქვეყნის ისტორიაზე, კულტურაზე, ღირსშესანიშნაობებზე...

რა თქმა უნდა, ყველა ქვეყანა, ყველა ერი საპატივსაცემო და დასაფასებელია. რაც მეტი ვიცით სხვებზე, მით უკეთესი. თუმცა, არც საკუთარი უნდა დავგვრნეს ყურადღების მიღმა.

მრავლისმოქმედი ქართული ანდაზაა: „თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასაო...“ ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩინე, რომ პატარაშელი მხოლოდ რომელიღაც დასახლებული პუნქტი კი არა, ფუნომენალური სამყაროა: რაც უფრო უდრამატიკო მას, მით მეტ საინტერესო პლასტებსა და შრეებს აღმოაჩენ. ამიტომ, ჩემი მშობლიური სოფელი ჩემი შთაგონების წყაროდ და მრავალმხრივი აქტიურობის ასპარეზადაც იქცა...

ჩემი, როგორც პატარაშელელის, მოტივაციას ახალი და ძლიერი მუხტით ავსებს ბოლო წლებში პატარაშელში გაკეთებული მართლაც **უმნიშვნელოვანესი, საშვილიშვილო საქმეები:**

- **მუნიციპალიტეტის უბნების შემდეგ, „ნახალოვას“ უბანშიც გაკეთდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, კილომეტრზე მეტი სიგრძის ასფალტის გზა.** რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ლალიანთ საუბნო გზაზეც იგეგმება ასფალტის საფარის მოწყობა. როგორ არ უნდა აღნიშნოს ადამიანმა: **საგარეჯოს ადგილობრივი თვითმმართველობის ძალისხმევით ისეთ ადგილებზეც იგეგმება ასფალტის გზები, სადაც ჩვენი მამებისა თუ პაპების თაობები ვერც კი წარმოიდგენდნენ...**

- ჩვენი წინამორბედი თაობები ვერც იმას წარმოიდგენდნენ, თუ პატარაშელს როდესმე **24-საათიანი უწყვეტი წყალმომარაგება** ექნებოდა. მიახლოებითაც კი ვერავინ გამოთვლის, რა რაოდენობის წყალი გვიზიდავს ვედროებით საუბნო ონკანებიდან მე და ჩემს თანატოლებს. შარშან დასრულებულ წელის პროექტს აი, ამიტომ აქვს საშვილიშვილო მნიშვნელობა.

- პატარაშელელებისთვის და არა მხოლოდ ჩვენთვის განსაკუთრებით სასურველი თავშეყრის ადგილად უკვე იქცა ჩვენი **გმირთა სავანე**, არასდროს დაგვაგვიწყდება 2024 წელს გამართული 9 მაისი-

სადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება: ერთმანეთს ეულოცავდით არა მარტო ფაშისმზე გამარჯვების დღეს, არამედ ახლად რეაბილიტირებული და საოცრად გაღამაზებული სავანეს ექსპლუატაციაში შესვლასაც. სწორედ ეს არის ეროვნული ღირებულებების საუკეთესო გამოხატულება: წარმოდგინეთ, **ადგილობრივი ხელისუფლება ხარჯავს ერთ მილიონამდე ლარს, რათა თავისი ღრმა პატივისცემა გამოხატოს ჩვენი გმირების ხსოვნისადმი და მომავალ თაობასაც ასწავლოს მათი ღვაწლის დაფასება.** როგორი იყო ჩვენი თანასოფელელების რეაქცია ხელისუფლების მიერ გაკეთებულ ამ კეთილშობილურ საქმეზე? - **ადგილობრივი ძალებით მოხერხდა მწვანე ნერგების შეძენა და სავანეს ფერდობზე დარგვა.** მერის წარმომადგენელი, ჩემი დიდი ხნის მეგობარი და საოცრად პატრიოტი კაცი, გიორგი ჭინჭარაძე მიყვებოდა, პატარაშელელები როგორი ენთუზიაზმით და სიყვარულით აკეთებდნენ ამას. გიორგიმ ასევე მომითხრო, მთელი დღის განმავლობაში როგორი მონდომებით რწავდნენ ახალდარგულ ნერგებს. ამ შემთხვევაში **საყურადღებოა ისიც, როგორი ერთიანობა იცავენ პატარაშელელებმა და ისიც, რომ ხელისუფლების კეთილ საქმეს ახალი კეთილ საქმე მოჰყვა.**

- გმირთა სავანესთან **გამწვანების აქ-**



ცია გასული წლის 9 მარტს განხორციელდა. პატარაშელში იმდენად უყვართ ნერგების დარგვა, გარემოზე ზრუნვა, რომ გადაწყვიტეს, კიდევ ერთი მსგავსი აქცია განეხორციელებინათ: მოსახლეობის ინიციატივითა და გიორგი ჭინჭარაძის ორგანიზებით, მარადმწვანე სანთლისებური კიპარისის 70-ზე მეტი ნერგი 13 დეკემბრის სოფლის შესასვლელში, 2 წლის წინ მოწყობილი სპორტული მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაირგო. ნახეთ, ჯანსაღ თანამშრომლობას როგორი არაჩვეულებრივი შედეგი მოაქვს: საგარეჯოს ადგილობრივმა თვითმმართველობამ ათწლეულების ოცნება აუხდინა პატარაშელელებს - დააფინანსა და ორგანიზება გაუკეთა თანამედროვე სპორტული მოედნის მოწყობას. ნერგების შეძენა კი ნავთობკომპანია KBOC-ის დაფინანსებით განხორციელდა. კომპანიამ ნერგების დარგვისთვის საჭირო მასალები, ტექნიკა და თანამშრომლებიც მოგვასხმარა. აქციაში მონაწილეობა მიიღო **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა ანდრეი ბუ-ლიპაშვილმა**, რომელიც მთელი სულითა და გულით დგას თავისი ხალხის გვერდით **საეროშელის თავმჯდომარესთან ალექსი ბილაშვილთან** ერთად. იცით, ამას რატომ აღვნიშნავ? - ამა თუ იმ საქმის წარმატებით გაკეთებას, წინსვლას, პროგრესს უპირველესად ქვეყნის გულითადი სიყვარული, საკუთარი მოვალეობის პირნათლად შესრულება და ერთიანობა განაპირობებს...

- კეთილ საქმეს, ანუ პატარაშელში **ორი სპორტული მოედნის აშენებას** კიდევ ერთი კეთილი და უმნიშვნელოვანესი საქმე მოჰყვა: **პატარაშელში შეიქმნა და წარმატებით ასპარეზობს ბავშვთა საფეხბურთო გუნდი „პატარაშელი“.** საკუთარი თვალთა მკაცრ ნანახი, ბავშვები როგორი მონდომებით ვარჯიშობენ და ზედმოწვევით ზუსტად ასრულებენ მწროვნელის, თორნიკე კეკელიშვილის დარიგებებს. ამ მხრივაც უჩვეულო

მოვლენასთან გვაქვს საქმე: რაგბის ორ გუნდთან („ვეფხვები“ და „პატარაშელი“) ერთად, ბავშვთა საფეხბურთო გუნდიც გვევა. ასეთი რამ პატარაშელში არასდროს ყოფილა. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ბავშვები ჯანსაღი ცხოვრების წესით იზრდებიან.

- უჩვეულო ამბების ჩამონათვალი ამით არ მთავრდება: ადრე **ღამის გარეგანათება მხოლოდ სოფლის ცენტრალური გზის გასწვრივ** არსებობდა. ამჟამად კი, პრაქტიკულად არ დარჩა უბანი, რომელიც ღამით არ ნათდება. სადაც ჯერ კიდევ არ დამონტაჟებულა ღამის განათების ნათურები, ვვგეგმავთ, იმ უბნების განათებაც ვთხოვთ მერიის ხელმძღვანელობას სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში.

- ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ **საგრძნობლად არის გაზრდილი სოციალური დახმარებების სპექტრიც და პროგრამებიც.** მერია რა სახის დახმარებას აღარ უწყებს მოსახლეობას. სოციალურ სფეროში თითქმის არ დარჩა არცერთი მიმართულება, რომელსაც მერია არ აფინანსებდეს, იქნება ეს წამლების შეძენა, ოპერაციების დაფინანსება თუ ფულადი დახმარება. ამ სიკეთით, რა თქმა უნდა, პატარაშელელებიც სარგებლობენ.

ქართველები მართლმადიდებელი ერი ვართ. ჩვენი სარწმუნოება მადლიერებას და სიკეთის დანახვას გვასწავლის - უფლისა და ადამიანის მიმართაც. სწორედ მადლიერების გამოხატულება იყო ის ფაქტი, როდესაც **2022 წელს ანდრეი ბულიპაშვილი სახლში აწვია შორეული ნათესოების კაპიტანს, ღირსების ორდენის ორგზის კავალერს, სიცოცხლეშივე ლეგენდარ ქვეშევრდკის პიროვნებას, ბელა შნაშვილიშვილს, მიულოცა დაბადებიდან 70 წლის იუბილე და მადლობის სიგელი გადასცა.** გასულ წელს კი, მერიის წარდგინებით გელა უნაფკოშვილი საპატიო გარეჯელად დაასახელეს დავით გარეჯის სახ-

აღიღწევის დავით გარეჯის სახ-ს სახელსა და ვიზაჟი. როგორ არ უნდა გავუსვათ ხაზი: თითოეული საგარეჯოლისთვის განსაკუთრებით საპატივსაცემო ეს დღესასწაული ჩვენი მუნიციპალიტეტის ადგილობრივმა თვითმმართველობამ 2018 წელს აღადგინა და ყოველ წელს მართავს (მხოლოდ პანდემიის პერიოდში შეწყდა მისი აღნიშვნა).

არასდროს დამავწყვდებია გელა უნაფკოშვილის ბედნიერი სახე, როდესაც დეტალურად მომითხრობდა, როგორ სთხოვეს სცენაზე ასვლა და დაასახელეს საპატიო გარეჯელად.

- წარმატებების და რეგალიების მეტი რა მიქვს, მაგრამ ეს წოდება ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია, - გულწრფელად მითხრა გელა უნაფკოშვილმა... რაოდენ გულსატკეპნი და დასანანი ამბავია, რომ გასული წლის 16 დეკემბერს სამუდამოდ შეწყდა მისი გულის ძეგრა, იმ გულისა, რომელსაც უზომოდ უყვარდა თავისი სამშობლოც და პროფესიაც (მეზღვაურობა).

გასული წლის 25 ივნისს პატარაშელმა კიდევ ერთი დიდი შვილი დაკარგა: გოგლა ლეონიძის შვილიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი-თანამშრომელი, გიორგი ქავთარაძე. ცოტა მოგვიანებით, 10 აგვისტოს, მისმა მეუღლემ, ქალბატონმა მარინამ გოგლა ლეონიძის სახლ-მუზეუმს ისტორიული რელიქვია, პიანინო გადასცა საჩუქრად.

რას ვიზამთ - თავად ცხოვრებაა ასეთი: გულსატკეპნი და სასიხარულო ფაქტების უწყვეტი მონაცვლეობა...

მუზეუმი ვახსენე და ისიც მინდა აღვნიშნო, რომ შარშან იგი სხვა ძალიან საინტერესო ექსპონატებითაც გამდიდრდა: **საგარეჯოს ბავშვთა თოჯინების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, მარინა შიოშვილმა მუზეუმს გადასცა „ნატერის**

ხის“ პერსონაჟ-თოჯინები: მარიტა, გედი და ფუფალა. გარდა ამისა, ცნობილმა ბიზნესმენმა, „კახეთის ტრადიციული მეღვინეობის“ დამფუძნებელმა **ზურაბ ჩხაიძემ** შეიძინა და მუზეუმს უსახსოვრა ორი ყანწი, რომლებიც გოგლა ლეონიძისთვის პატარაშელელ ახალგაზრდებს 1966 წლის 20 თებერვალს უჩუქებიათ. მარინა შიოშვილსა და ზურაბ ჩხაიძესთან ერთად, მინდა მადლიერება გამოვხატო ცნობილი **ქისტი მოღვაწის მამა ხანოშვილის** მიმართაც: გასული წლის ივნისში, მან მუზეუმს გადასცა მისივე ავტორობით შექმნილი არაჩვეულებრივი წიგნი „ქისტები, რომლებმაც შექმნეს პანკისის ისტორია“ და ჩვენური ენის საგარეჯოშო რეგული. იმ პერიოდში სატელეფონო საუბარი მქონდა ქალბატონ მექასთან. მან შემოგვთავაზა, რომ პატარაშელის საჯარო სკოლა და-ვაშეგობროთ პანკისის სკოლის რომელიმე საჯარო სკოლასთან. ამ საუბრის შემდეგ სპეციალურად შევხვდი და ეს შემთავაზება გაეუზიარე პატარაშელის საჯარო სკოლის ახალ დირექტორს, ჩემს ყოფილ ფიზიკის პედაგოგს, ნინო მუხიაშვილს.

მადლიერებით მინდა აღვნიშნო ისიც, რომ კომპანია KBOC-ის დახმარებით დამზადდა და **მუზეუმის გარე კედელზე განთავსდა გოგლა ლეონიძის ფოტო-პანტონი**, რომელმაც ძალიან დაამშვენა და მეტი შინაარსობრივი დატვირთვა შესძინა ამ კულტურულ ობიექტს.

როგორც ცნობილია, გოგლა ლეონიძის სახლ-მუზეუმი საკმაოდ დატვირთული კულტურული ობიექტია. წლის განმავლობაში უამრავი ვიზიტორი სტუმრობს. ამასთან, პრაქტიკულად ყოველ წელს აღვნიშნავთ გოგლაობის სახალხო დღესასწაულს. თუმცა, შარშან გოგლაობა ვერ აღვნიშნეთ, რადგან მუზეუმს საკმაოდ სერიოზული პრობლემები აქვს და ხალხმრავლობა სასურველი არაა. იგი შეკეთებას მოითხოვს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მუზეუმის დირექტორმა, ქალბატონმა დარეჯან ლეონიძემ ეს საკითხი უკვე დასვა შესაბამის სტრუქტურებში. მუზეუმი სერიოზულ მიდგომას საჭიროებს, თანაც - ოპერატიულ მიდგომას. ბუნებრივია, საქმის კურსშია საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანება და იმედია, მისი ხელმძღვანელი, ბატონი ბესიკ ღვინაშვილი ამ მხრივ ძალისხმევას არ დაიშურებს.

მიხედვა სჭირდება პატარაშელში არსებულ კიდევ ერთ ისტორიულ ძეგლს, **ბუტულაანთ ციხეს.** ამ მიმართულებით მცდელობა არ შეგვიწყვიტავს გიორგი ჭინჭარაძეს და მე. საკითხს მუდმივად ვააქტიურებდით. მცდელობამ ნაყოფი გამოიღო:



შარშან ციხეს ჩაუტარდა ექსპერტიზა. მისი ქონგურები გასამარტრებელია და საჭიროა სამუშაოების ამ მიმართულებით განხორციელება. საქმე დაიბრუნა და ვფიქრობთ, მიმდინარე წელს ამ მიმართულებით სათანადო ნაბიჯები გადაიდგმება.

სოფლის ისტორიულ და კულტურულ წარსულზე ესაუბრობ და არ შეიძლება, არ აღვნიშნო კულტურის სახლის რეაბილიტაციის აუცილებლობაც. პატარაშელის საინიციატივო ჯგუფმა უკვე განვახორციელეთ მნიშვნელოვანი აქტივობები, რასაც **მოჰყვა შენობის ექსპერტიზის ჩატარება.** გაირკვა, რომ დაზიანებების მიუხედავად, შესაძლებელია მისი აღდგენა. საგარეჯოს მერიის ხელმძღვანელობა დაგვიპირდა, რომ სოფელს მიეხმარება ამ კუთხითაც. აღდგენილ კულტურის სახლში სხვადასხვა სახელოვნებო წრის და აქტივობებისთვის საჭირო სივრცეების შექმნა დიდ სამსახურს გაუწევს როგორც პატარაშელელს, ისე სხვა სოფლებში მცხოვრებ ბავშვებსა და ახალგაზრდებს.

დასასრული შემდეგ ნომერში

ლევან თედიაშვილი

უძლეველი ფალავნის ბარდაცვალებიდან 17 თებერვალს 1 წელი შემოუღდა



სემფიანა გაცეკერი ცაზე მოღვივლივე ნაცრისფერ ღრუბლებს. თითქოს ამ ღრუბლებში შევამჩნიე გაყინული იმედის კვალი, რომელიც სამუდამოდ დარჩა წყვდიადში გამოკეტილი...

სადღაც შორიდან ზურნის ხმა მესმის...

ასე მგონია ამდენ ხალხს ჭიდაობის საყურებლად იწვევ...

ვხედავ დამკერვლების გარშემო შეიკრიბება ხალხის წრე, რომელსაც ალბათ მსაჯი გასწევს, გააფართოვებს...

მგონია გაარდევე ხალხის წრესა და შუაგულში გამოჩნდები საჭიდაო ჩოხაში გამოწე-ობილი ქართული ჭიდაობისთვის დამახასიათებელი რაინდული სულით...

ქართული ჭიდაობა პირდაპირია, ჰოდა შენ აღმოჩნდი სიკვდილის პირისპირ.

წარმოდგენილია შენი დაცემა...

ისმის ყიჟინა გამარჯვების მომლოდინე ხალხის...

სიკვდილიც, შენი მეტოქე, მოშორებით ელოდება შენს წამოდგომას

ქართულ ჭიდაობაში, როცა მოწინააღმდეგე დაეცემა, ჭიდაობა ჩერდება და თავიდან იწყება, წაქცეულს არ ეჭიდავებიან...

მაგრამ...

სიკვდილთან გამარჯვებული ჯერ არ გამოვლენილა...

საერთაშორისო სარბიელზე მოპოვებულ წარმატებებს რაინდულ, ქართულ ჭიდაობას უმაღლესი...

შენ ისეთი ადამიანი იყავი, როგორიც ქართული ჭიდაობა...

რაც ყველაზე კარგი იყო ამ ჭიდილში ეს ალბათ იყო თავისუფლების, გამარჯვებების განცდა...

იყო ბევრი ტკივილიც...

იყო უფალი შენში...

შენ ახლა ვაღმოსხდილი მიდიხარ უფალთან, როგორც მამა და როგორც სპორტსმენი...

საუკუნო განსვენება მოგმადლოს უფალმა

უშენობის გაზაფხული ეწვევა თაქლას...

თამარ ურდულაშვილი

20.02.2024

ამბავი, თუ რატომ გახდა

ლევან თედიაშვილი მოჭიდავე

„დედაჩემო ქათამს მარტო მაშინ დაგვაკვლევინებდა, სტუმარი რომ მოგვივიდოდა, მე მარტო ერთი ბარკალი მხედებოდა...“ - მწერალი ნუგზარ შატაიძე თავის წიგნში “ლე-ვან თედიაშვილი” საინტერესო ფაქტზე წერდა, თუ რატომ გახდა ლეგენდარული ლევან თედიაშვილი მოჭიდავე.

“ერთხელ ლევან თედიაშვილს გკითხე, მაინც რა იყო, რატომ გახდი მოჭიდავე-მეთქი? იმიტომ, რომ ქათმის ხორცი მიყვარდაო.

გამიკვირდა. ქათმის ხორცი რა შუაშია-მეთქი?

გეტყვიო: “დედაჩემო ქათამს მარტო მაშინ დაგვაკვლევინებდა, სტუმარი რომ მოგვივი-დოდა, მაგრამ იმ ქათმის მე მარტო ერთი ბარკალი მხედებოდა. პა, პა, ერთი ბარკალი და ერთიც ფრთისძირი. არადა, ძალიან მიყვარდა, ვგოუდებოდი ქათმის ხორცზე.

ერთხელ რაიონის მოზარდ მოჭიდავეთა ნაკრებში ამიყვანეს. შეკრებაზე ვართ. სადი-ლის დრო რომ მოვიდა, შეგვიყვანეს სასადილოში და წინ ნახევარი შემწვარი ქათამი დამიდეს. მორიდებით ვიკითხე – ბოდიში, მაგრამ ესა სულ ჩემია-მეთქი? შენია, მა ვისიაო! აი, სწორედ მაშინა ვთქვი გულში, მორჩა, თქვენ მე აქედან კვლავ მომიშორებთ- მეთქი!

დიდებული ქართველი, თავისუფალი სტილის მოჭიდავე, ლევან თედიაშვილი-ოლიმპიური თამაშების 2-გზის ჩემპიონი (1972, 1976) ჭიდაობაში, მსოფლიოს 4-გზის (1971, 1973, 1974, 1975) და ევროპის 3-გზის ჩემპიონი (1974, 1976, 1978). მსოფლიო თასის მფლობელი (1973). ასევე მსოფლიო ჩემპიონი სამბოში (1973)

ლევან თედიაშვილი ასევე თამაშობდა ფილმებში “ხარება და გოგია”(1987) და “მეოთხე ბრაიტონი”(2021)

“თეირანში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი შაჰის თასზე. თეირანის ახა-ლაშენებული სპორტის სასახლის ტრი-ბუნებზე ნემსი არ ჩავარდება. ფინალურ შეხვედრებს ირანის შაჰიც დაესწრო. ლევანმა ირანელი ჯაფარი 20 წამში წააქ-ცია, ეგვიპტელი ხოდაბალა – 25 წამში, ბულ-გარელი ჩერნაგოვი – 2 წუთში, პოლონელი ტომასი – 10 წამში და ფინალში ირანელ სულეიმანს უნდა შეხედეს. „ფინალამდე 1 საათია დარჩენილი, მაგრამ უკვე სპორ-ტის სასახლეში ვარ, ჩვენს მოჭიდავეებს ვგულშემატკივრობ. ჩვენი მთავარი მწვრთ-ნელი იურა შახმურადოვი მოშორებით ზის, რაღაც არ მომწონს. შემომხედავს – გაილ-იმებს, კიდევ შემომხედავს, კიდევ გაიღიმებს.



მივედი და გვერდით მივუჯექი.

– რა არის მეთქი?

– არაფერიო.

– მა რა გაცინებს, შე ჩემის ვერანო-მეთქი.

– გითხრაო?

– მითხარი-მეთქი.

– წელან აქ ერთ ირანელთან შემახვე-დრეს. ეგ შენი სულეიმანი, თურმე, შაჰის ნათესავი ყოფილა. ძალიან უნდათ, რომ

თბილისის სპორტის სასახლე, ლეგენდები: ლევან თედიაშვილი, იბან მარბიონი

ხალისაზე მეტოქეები, ცხოვრებაში მეგობრები. ლევანი იარიგინს “ივანას” ეძახდა, ესე მოიხსენიებდა “მე და ივანა, ივანას ვუთხარი ა.შ.” ისე არ ვიცი სახელს როგორ უძახდა, ის კი ვიცი სისხლს უშრობდაო იძახდნენ თავის კახური იუმორით, მეგობრულად რა თქმა უნდა ჩვენი ლეგენდა ფალავანი ციმბირელს, როგორც ამბობენ ცოტა გულუბრველო, მეამიტ, კაცს.

აშშ-ს ერთერთ შტატში, საპატიო “შერიფები”, რომ გახდნენ ალბათ ეგ ამბავი ბევრმა იცით, ვინც არ იცის: კინოში იყვნენ ლევანი და ივანა თავისუფალ დროს წასულები ერთერთი ტურნესას ამერიკაში. იარიგინის სკამზე უკანმჯდომმა ზანგმა ფეხები ისე შემოაწყო ლამის ზედ კისერზე დაადო ვანიას, შენიშვნაც არაფრად დაუდო და ფეხი არ გაატოკა ზანგმა (თურმე ე, მანდ რომელიღაც დიდი რადიკალური დაჯგუფების წევრია და ბევრი არიან, დიდ გულზეა ბლატაობს) ლევანა ერთიანად გაცეცხლდა, გაგიჟდა, გოგია გახდა კენკიშვილი, ხარება გახდა ჯიბუტი, არ ჩამოწვევ არაო? და ვერევე თქაფანი აკიდა.. ატყდა სერიოზული ბათქაბუთი, ის დროა შეუქები ჩამქრალია, უკვე კინო მიდის, დაიწყო, მძაბიჭებმა ზურგი - ზურგს მიაბჯინეს და წავიდა დაკადაკა. მოვარდა პოლიცია გამო-ძახებაზე ინთება შუქი და რას ხედავენ დარბაზში; ორი ჯანდონით სავსე ყმაწვილკაცი დგას კინოთეატრის სცენაზე ზურგმიბჯენილი და ზოგიერთი აფროამერიკელი ძირს გდია გათიშული და ზოგიც ჰაერშია, გზაში. როგორც იქნა გააშველეს, აფრო - გათი-შულები საკაცებით გაიტანეს, აფრო - გადარჩენილები, + ლევანი და ვანია კი ხელდ-აბორკილებით გაიყვანეს. ამის შემხედვარე დარბაზში მყოფმა ხალხმა ორი მეგობარი ტაშით გააცილა. ამ რადიკალ ფერადკანიათა დაჯგუფებისაგან მოსახლეობას გული მჭონია გაწყალებული, იმდენად უმსგავსოდ იქცეოდნენ. მოკლედ პოლიციის განყოფილე-ბაში დასჯის მაგივრად ლევან თედიაშვილი და ივან იარიგინი, მასაჩუსეტის შტატის საპატიო “შერიფის” წოდებებით და ორდენებით დააჯილდოვეს! ასე საპატიოდ, ესკორტით, მიაცილეს იქ სადაც საბჭოთა ნაკრები გუნდი იყო დაბინავებული.

თ.ბოშჩიშვილი



მსოფლიო, ოლიმპიზმი, თუ ევროპის ჩემპიონატების პრაპალზის პამატყვევები, ლეგენდარული ლევან თედიაშვილი.

კინოსტუდიაში სასცენარო განყოფილებაში ვმუშაობდი. ერთხელაც, გიორგი შენგე-ლაია გადაამეკიდა, ფილმ „ხარება და გოგია“ გადაღებას ვიწყებთ და ხარება ჯიბუტის ძმის — სიმონას როლი უნდა ითამაშო. სცენარიც გადმომცა, ჩემი მეგობრის. ბაიდურ ბალარჯიშვილის დაწერილი იყო. მითხრა: შენ და ომარ ფხაკაძე (ხარებას როლის შემ-სრულებელი) ძალიან ჰგავხართ ერთმანეთსო. გიორგის დიდ პატივს ვცემდი და უარი ვე-ღარ ვუთხარი. მე კი იოლად დამიყოლია, მაგრამ ლევან თედიაშვილი (გოგია კენკიშვილი), ომარი და მიშა სალაძე ვერ დაითანხმა. ლევანს გიორგიმ პირადად ჩააკითხა. როგორ არ ეცადა დაეყოლებას... დიდი ხვეწნის შემდეგ კი დაითანხმა. მოკლედ, ბევრი მცდელობის შემდეგ, მიშა სალაძე და ომარ ფხაკაძე დაითანხმა გადაღებაზე. სხვათაშორის, მერე სა-მივეს მოეწონა კინოში მონაწილეობა. ლევანს დაუფასდა კიდევ ეს შრომა — აზიისა და აფრიკის ქვეყნების კინოფესტივალზე მამაკაცის როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის პრიზიც მიიღო. ერთხელ გამომიტყდა: ჩემს ყველა ოქროს მედალს მირჩევნიაო!”

ნუგზარ შატაიძე

ლევანი და ჩაშლილი ბარიბება

გაიმარჯვოს, ოღონდაც ლევანა დაწვეს და ძალიან დიდ ფულს მიეცემითო.

– მაინც რამდენს?

– 50 ათას დოლარსაო.

– ავუტყდი. მოდი რა იმ კაცს მე შემახ-ვედრეთ-მეთქი.

– წადი დაიკარგე, რაღაც უნდა იცივნო და გახდეს შარიო. ერთი სიტყვით, უარი მტკიცა, მაგრამ ის კაცი, გავიხედოთ და, თავად არ მომადგა?! თარჯიმანი ახლავს. გამიყვანეს განზე და მეტუტუნებთან.

– რა გინდა, ლევან, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ხარ, მსოფლიოს – ხუთგზისა. ეს ოხერი ტურნირი რა გავიხდა. აიღე ფული (ქეისს მაჩვენებენ და დაწვეით).

– შევიკარი შუბლი, ცოტაა-მეთქი.

– აბა, რამდენი გინდაო.

– 80 ათასს არაფერი დააკლდება-მეთქი!

– ეხლავეო და გაცვიფდნენ.

– რა გქნა? გამიხდა მართლა შარი-ხათა-ბალა. იმათ რომ ის ფული მოიტანონ, უარი როგორღა ვუთხრა? წავედი და დავიმალე ტუალეტში. თავი აღარ გამომიყვია, ვიდრე საჭიდაოდ არ გამომაცხადეს. გავიქეცი ხალხისკენ სირბილით. მომდევს ის საწყა-

ლი ირანელი, მაწვდის ქეისს და მეხვეწება, მაგრამ, აბა, გვიანია. დავიწყეთ ჭიდაობა. ის სულეიმანი დიდი ვერაფერი შეილი გამოდ-გა. დაეუწვე ღლაბუცი. ისე ვეთამაშები, რო-გორც კაბა – თავს. ის ერთთავად ხალი-ჩის გარეთ მიიწევს, თუმცა არ გუშვებს. სულ თავბედი ვაწყველინე, ბოლოს ავიყვანე და დავაწვევითე ხალისაზე. ისეთი ვაჟა დავაძა-ხებინე, კედლებმა სულ ზანხარი დაიწვეს. ჩამოვარდა იმხელა დარბაზში სამარისე-ბური სიჩუმე. გავიხედე შაჰის ლოჟისკენ, გამტკნარებული ზის. ავდექი და ფეხბურ-თელი რომ გოლს გაიტანს და უხამს ევსტს აჩვენებს, ამ შაჰს ვერე არ გავუკეთო?! გაგი-ქდა ხალხი. აიშალა მაყურებელი და ქვე-მოთ წამოვიდა. პოლიცია ძლივს აკავებს. კიდევ კარგი, გამოცვიფდნენ ეს ჩვენი რუსე-ბი, შახმურადოვის თამაღობით, ალყაში მო-მაქციეს და ვერე გამიყვანეს სამშვიდობოს, თორემ ცოცხლად შემგამდნენ. რა თქმა უნდა, ბევრი საყვედური მივიღე, მაგრამ მე მაინც ძალიან კმაყოფილი ვიყავი, რადგან რაც მაგ შაჰებს საქართველოსთვის საქმე უქნიათ, ხო, ერთბაშად ამოვიყარე ყველას ჯავრი-მეთქი.

ნაწვევები ნუგზარ შატაიძის წიგნიდან “ლე-ვან თედიაშვილი”, 2011 წელი.

მართლმადიდებლობა

დიდი მარხვის პირველი შვიდეული

მარხვის სწორად წარმართვა ბევრადღა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გაატარებს ქრისტიანი ღიდმარხვის პირველ კვირას. ძველი ქრისტიანები ღიდმარხვაში, და განსაკუთრებით პირველ შვიდეულში, მეტად მკაცრად მარხულობდნენ: მთელ დღეს ტაძარში ატარებდნენ და ჭამდნენ უზეთო საჭმელს დღეში ერთხელ მზის ჩასვლის შემდეგ. ამ მხრივ საგულისხმოა ერთი ნაწევრტი აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავლიდან“, სადაც აღწერილია როგორ ამარხულდნენ ბავშვებს:

„უმთავრესი ყურადღება ჩვენი წირვალოცვაზე და მარხვაზე იყო მიქცეული, სამწუხარო დრო ჩვენთვის ღიდმარხვა იყო: მთელი დღე საღამომდის, სანამ ღოცვა არ გამოვიღოდა, წელის მეტს არაფერს მიგვაკარებდნენ; საღამოსაც მარტო ხმელ პურს გვაძლევდნენ. არათუ შეჭამადი რამე, ღვინო, მარილი და ზეთიც კი აკრძალული გვქონდა...“

ჩვენი წინაპრების მიბაძვის სურვილი ყველა ჩვენგანს უნდა ჰქონდეს, მაგრამ მეორე მხრივ, არც ზომიერების გრძნობამ უნდა გვიღალატოს. დღეს ბევრი ჩვენგანი ცდილობს გაიმეოროს მათი ღვაწლი. ღმერთმა შეგვაძლებინოს! უთუოდ, ჩვენს შორისაც არიან ამის შემძლებელი, მაგრამ სამწუხაროდ, ხშირად ეს სურვილი ზედაპირული და ცალმხრივია. ძველი ქრისტიანების მარხვის ასეთი სიმკაცრე მათ შინაგან სულიერ მდგომარეობას შეესაბამებოდა. ჩვენ კი არათუ პირველ ქრისტიანებზე, არამედ ასი წლის წინ მცხოვრებ ჩვენს პაპებზეც კი ბევრად უძლურნი ვართ; მათი ოდენ ზედაპირული მიბაძვა ჩვენს შინაგან და გარეგან მდგომარეობებს შორის დარღვევას იწვევს, რასაც ხშირად სავალალო შედეგამდე მივყავართ. საგულისხმოა, რომ თვით აკაკიც ზემოთმოყვანილ ნაწევრტში ასეთ მომეტებულ სიმკაცრეს შეცდომად მიიჩნევს.

ასე რომ, თუ, ერთი მხრივ, მარხვისადმი გულგრილობაა დაუშვებელი, მეორე მხრივ, ზედმეტმა სიმკაცრემ სხვა, ვინ იცის, იქნებ უფრო მძიმე განსაცდელი მოგვიმზადოს. ამიტომ **ქრისტიანმა ზომიერად უნდა ილოცოს, ზომიერად უნდა იმარხულოს და თუ ცხოვრების წესის გამეაცრება სურს, მოძღვარს უნდა დაეკითხოს.**

ეკლესიური წესით მცხოვრები დღევანდელი ჩვენი ქრისტიანებიდან ვისაც შეუძლია, ღიდმარხვის პირველ კვირაში **ჭამს** დღეში ორჯერ უზეთო საჭმელს, ხოლო ვისაც ეს უჭირს - ზეთიანს და დღეში სამჯერ; თუ შეძლებს ასეთმა ადამიანმა სასურველია ოთხშაბათსა და პარასკევს მაინც შეიკავოს თავი ზეთისაგან.

რაც შეეხება **ლოცვას**, დილითა და საღამოს დამატებით ვკითხულობთ წმ. ევრემ ასურის სინანულის მოკლე სავედრებელს „უფალო და მეუფეო...“ ოთხი სრული მეტანიით (ტაძარში ეს ღოცვა სრულდება 16 მეტანიით. ამასთან 16-დან 12 არის მცირე მეტანია).

ჩვენი პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II რწევითა და ღოცვა-კურთხევით ვინც მარხვას იწახავს, სასურველია, მარხვის პერიოდში ყოველ **კვირას ეზიაროს**. ამისთვის საჭიროა დავესწროთ ღოცვას შაბათ საღამოს, ვთქვათ აღსარება, წავიკითხოთ ზიარების ღოცვები და კვირის წირვაზე უზმოდ მივიდეთ; ე.ი. თუ სხვა დროს ზიარების წინ საჭიროა რამოდენიმე დღე მარხვის შენახვა, ახლა ეს პირობა თავისთავად სრულდება, რაც გარკვეულწილად აიოლებს ზიარებისათვის მომზადებას. მეორე მხრივ, თუ ხსენარში წირვა შეიძლება ჩატარდეს კვირის ნებისმიერ დღეს, მარხვაში ეს შესაძლებელია მხოლოდ შაბათსა და კვირას. გარდა ამისა, მათთვის, ვინც შაბათს ან კვირას ვერ ეზიარა, **ოთხშაბათს და პარასკევს ტარდება ეგრეთწოდებული წირვა** პირველშეწირულთა ძღვენა, როდესაც მორწმუნეთა ზიარება ხდება შაბათის ან კვირის წირვიდან გადნახული წმიდა ნაწილებით.

მეორე, მესამე და მეოთხე შაბათი ღიდმარხვისა, აგრეთვე „ხორციელის“ შაბათი ანუ „კორკობა“ არის მიცვალებულთა მოხსენიების დღეები; ეკლესიებში გაშლილია მავიდველი საკურთხისათვის და წირვის შემდეგ სრულდება საზოგადო პანაშვიდი.

უკანასკნელი დღე მკაცრი მარხვისა პირველ კვირაში არის **პარასკევი**. შაბათს და კვირას მკაცრი მარხვა აღარ შეიძლება. ამ ორ დღეს დასაშვებია ზეთისა და ცოტაოდენი ღვინის მიღება.

როგორ უნდა მოიქცეს მორწმუნე, თუ რაიმე მიზეზით მარხვის შენახვა არ შეუძლია ხანდაზნად ხდება, რომ ადამიანს მარხვის შენახვა უჭირს: ან ძალიან დასუსტებულია, ან ხნიერია, ან **აგადაა და ექიმმა სპეციალური დიეტა დაუნიშნა**. ასეთ შემთხვევაში არასამარხო პროდუქტის მიღება მარხვის დარღვევად არ ჩაითვლება, თუ მორწმუნე აიღებს ღოცვა-კურთხევას, რომელსაც იძლევა ან მღვდელმთავარი, ან მღვდელი. ამ ღოცვა-კურთხევის ძალით მორწმუნემ შეიძლება მიიღოს რძის ნაწარმი და ხორციც კი, თუ ეს აუცილებელია.

მარხვის შენახვა **არაა საგაღდებულო** აგრეთვე ბავშვებისთვის 12 წლის ასაკამდე. თუ მშობლებს მაინც უნდათ ბავშვი თავიდანვე შეაჩვიონ მარხვას, ვურჩევთ ასე განსაჯონ: ბავშვისათვის ყოველდღიურად ხორცის მიღება არათუ საგაღდებულო არ არის, არამედ მავნებელიცაა. ამიტომ მისი რეჟიმი ისე უნდა განესაზღვროთ, რომ ხორცისაგან განტვირთვის დღეები იყოს ოთხშაბათი და პარასკევი.

როგორც აღვნიშნეთ, დიდი წმიდა მარხვა ყველა სხვა მარხვაზე საძნელოა, მაგრამ შემწეობაც გვეძლევა უფლისაგან.

ღმერთმა მოგვცეს მადლი, გულისხმისყოფა და სულიერი თუ ფიზიკური ძალები, რათა ყოველმა ჩვენგანმა - სრულიად საქართველომ ერთიანი მარხვითა და ღოცვით ვადიდოთ მამა, ძე და სულიწმიდა. ამინ.

ზეთის კურთხევა

დიდი მარხვის პერიოდში ეკლესიებში სრულდება ზეთის კურთხევის საიდუმლო ანუ „შვიდეჯერ ზეთისცხება“. როგორც მას დღეს უწოდებენ.

ეს საიდუმლო, ისევე როგორც ახალი აღთქმის დანარჩენი საიდუმლო, უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ დაგვიწესა, როდესაც მისი ღოცვა-კურთხევით საქადაგებლად წარგზავნილი მოციქულები „სცხებდნენ ზეთსა მრავალთა სნეულთა და განკურნებდეს“ (მარკოზი 6, 13). ზეთის კურთხევის მიზანი წმიდა მოციქულ იაკობის სიტყვებშიც ჩანს: „უძლურთუ ვინმე არს თქვენს შორის, მოუწოდონ სუცესთა ეკლესიისათა, და ილოცონ მას ზედა და სცხონ ზეთი სახელითა უფლისა თა და ღოცვამან სარწმუნოებისამან აცხოვროს სნეული იგი და აღადგინოს იგი უფალმან, დაღაცათუ ცოდვა რაიმე ექმნეს, მოვეცეოს მას“ (იაკობი 5, 14-15).

აქედან ჩანს, რომ ზეთის კურთხევის საიდუმლოს შესრულების მიზანია აგადმოფიცის ხორციელი სნეულებისაგან განკურნება და ცოდვათა მიტევება.

ამ საიდუმლოს პირველსახედ შეიძლება მივიჩნიოთ, აგრეთვე, თვით უფლის მიერ განრღვეულის განკურნება ქალაქ კაპერნაუმში, როდესაც იესო ქრისტემ სნეული არა მარტო სარეცელიდან ააყენა, არამედ ცოდვებიც მიუტევა (მარკ. 2, 1-12).

დღეს ეს საიდუმლო სრულდება ეკლესიებში დიდი მარხვის პერიოდში ან მძიმე ავადმყოფის სახლში, როდესაც ამისი აუცილებლობაა, წლის ნებისმიერ დროს. ამასთან, თუ ავადმყოფთან საიდუმლოს ჩატარებისას ჩვენი მთავარი მიზანი სნეულების დათრგუნვაა, ეკლესიაში მას მორწმუნეები ძირითადად ცოდვათა მიტევების გამო ესწრებიან; თუმ-

ცაღა, ცხადია, ორივე შემთხვევაში საიდუმლოს ორივე ზემოქმედება ძალაშია, რამეთუ სნეულებისაგან სრული განკურნება ცოდვათა მიტევების გარეშე ადამიანის სულისათვის, შეიძლება, დამღუპველი აღმოჩნდეს.

სასურველია, რომ მორწმუნემ ზეთის კურთხევაში მონაწილეობა ყოველწლიურად მიიღოს, რადგან, თუ აღსარებისას ადამიანს ის ცოდვები მიეტევება, რომლებიც აღიარა და მოინანია, ზეთის კურთხევისას, გადმოცემით, დაეიწვებული ცოდვებიც ეპატიება. ამის გამო საიდუმლოში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ მათ, ვისაც აღსარება ერთხელ მაინც უთქვამთ.

სხვადასხვა ეკლესიებში ზეთის კურთხევა დიდი მარხვის სხვადასხვა კვირაში სრულდება, რაც საშუალებას აძლევს მორწმუნეს გამორიცხოს შემთხვევითი, დამაბრკოლებელი მიზეზი და არ დააკლდეს ამ დიდი მადლის მომნიჭებელ საიდუმლოს.

ღმერთმა განგვეურნოს ჩვენ და სრულიად საქართველო სულიერ და ხორციელ სენთაგან. ამინ.

წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონი“

წმიდა მამა აბბა დოროთემ კითხვაზე: რატომ გლოვობენ წმინდანები გამუდმებით, ასეთი პასუხი გასცა:

- წმინდანი სინათლისაკენ მავალი ადამიანია, რაც უფრო უახლოვდება ნათელს, მით უფრო ხედავს ადამიანთა ცოდვებს. ამიტომაც ატარებენ ისინი მთელ ცხოვრებას გლოვაში.

ამავე აზრს გამოხატავს სინანულის კანონის პირველივე ფრაზებიც:

„ვინა ვიწყო მე გლოვად, საქმეთა ცხოვრებისა ჩემისათა, ანუ რომელი დასაბამი ვყო ქრისტე, გოდებისა ამის“.

და ამას წერდა ანდრია კრიტელი, წმიდა მამა, რომელმაც 14 წლიდან დაიწყო ღვთისმსახურება.

მაინც რა ცოდვებმა დაამძიმა იგი ასე?

ვინ იყო ანდრია კრიტელი?

წმიდა ანდრია, მეექვსე საუკუნის ეს დიდი მამა, დამასკოში ცხოვრობდა. შვიდ წლამდე მუნჯი იყო. შვიდი წლისა პირველად ეზიარა ქრისტეს სისხლსა და ხორცს და სასწაულებრივად განიკურნა, ამტკვევდა. ასე აჩვენა მაცხოვარმა თუ რა დიდი ძალა აქვს ზიარებას. გახარებულ მშობლებს საღმთო წიგნებით აუვისათ შვილი და უკვე თოთხმეტი წლისა იერუსალიმში გაუგზავნიათ ღვთისმსახურების შესასწავლად. იგი იმდენად განსწავლული იყო ამ დროისათვის, რომ თავისი ცოდნით იერუსალიმის პატრიარქიც კი განუცვივრებია. შემდგომში ანდრია გახდა კუნძულ კრეტის მთავარეპისკოპოსი და აქედან მოყოლებული იწოდება კრიტელად. **მან დაწერა სინანულის დიდი კანონი**, რომელშიც ისეთი სიმძაფრითაა წარმოდგენილი ადამიანის ცოდვილი ბუნება, რომ თუ კარგად ჩავეურმავედებით, აუცილებლად სინანულით განვიმსჭვავლებით. იგი მოცულობითაც ყველა სხვა კანონზე დიდია. ამიტომაც მას ოთხ ნაწილად ჰყოფენ და დიდი მარხვის პირველ ოთხ დღეს კითხულობენ.

* * *

„ცოდვების დანახვა მთელი თავისი სიღრმით ჭეშმარიტად ღვთის მადლია“ - ამბობს **წმიდა იოანე კრონშტადტელი**.

ხშირად ადამიანები ვერ ხედავენ თავიანთ ცოდვებს.

„არაფერი მომიპარავს“, „ისეთი არაფერი ჩამიდენია“, „როგორც ყველა, მეც ისე ვცხოვრობ“, „არავინ მომიკლავს“ - ასე იწვებენ ისინი თავიანთ აღსარებას და ვერც წარმოუდგენიათ თუ სცოდნენ. გვაღიზიანებს, როდესაც გვახსედენ, თავად კი ადვილად განვიკითხავთ, ღმერთიც დავივიწყეთ. განა ეს ცოდვები მოსანანიებელი არ არის?! და თუ არ გვესმის, რატომ უნდა გვიყვარდეს მტერი ჩვენი, ვართ კი ქრისტიანები?! რითი ავხსნათ ჩვენი თვითდაჯერებულობა ჩვენს უცოდველობაში, თუ არა გაქცევებული გულით, ჩვენი სულიერი სიკვდილით?!

დიდ მარხვას **სულის დღესასწაულსაც** უწოდებენ. ამ დროს ადამიანის მთელი ყურადღება მიჰყოფილია სულისაკენ, რომ განკურნოს იგი. და თუ გვინდა ღირსეულად აღვასრულოთ ეს, სანამ მარხვას დავიწყებდეთ, ვიძულოთ თავი, მივეუტეოთ ერთმანეთს ყველანაირი წყენა და გულისტკივილი. სწორედ ამიტომაც დიდი მარხვის წინ დაწესებული **შენდობის დღე**.

„არა არს სოფელსა შინა ცოდვა, არცა დაცემა, არცა სიბოროტე, მხსნელი, რომელი მე არა მიცოდავს: გონებით და სიტყვით და მოგონებით, ნებებით და ჯერ-ჩინებით და ქმნით, ვითარ სხვას არცა ერთსა ვის სადა“.

გოდებს ანდრია კრიტელი, ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, რომ არ ვცოდავთ. მოდიო დიდ მარხვაში მაინც ჩავეურმავედეთ სინანულის ამ კანონს. იგი დაგვეხმარება ჩვენი ცოდვების დანახვაში. ასე გადავდგათ პირველი ნაბიჯი და ავუყვებთ სასუფეველისკენ მიმავალ სათნოებათა კიბეს.

ნაპრესპელი მთავარეპისკოპოსი სერბი (ნაპურიშვილი)

მოკლეს მაცნიერი, რომელმაც ჯვარი

ვიზიკურად შეისწავლა

რუსმა მეცნიერებმა კვანტური ფიზიკის პოზიციებიდან შეისწავლეს ჯვარი და გამოგნებულ დასკვნამდე მივიდნენ. მათმა ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა შიპუნოვმა ამ შედეგების შესახებ საქვეყნოდ განაცხადა. მალე შიპუნოვი გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს.

აი, რა აღიარა მეცნიერმა: **„ჩვენი ცდებით დამტკიცდა, რომ ჯვარი ერთადერთი მექანიზმია მთელს პლანეტაზე, რომელიც დამუხტულ ნაწილაკებს წარმოქმნის, ანუ ჩვენი სიცოცხლისთვის არ შეუძლია არსებობა. ყველაზე საინტერესო, აი, რა არის – ჯვრის იმ კუთხეში, სადაც პირიზონტალური და ვერტიკალური ხაზები გადაიკვეთებიან, ჩვენს ბიოსფეროში მთელი სამყაროდან შემოსული ენერგია პირიზონტალურ ნაკადად წარმოიქმნება. და ჯვრის სწორედ ეს ადგილი მარჯვნივ და მარცხნივ უთვალავ, მილიარდობით დამუხტულ ნაწილაკს გადმოაფრქვევს. ნაწილაკები გამოიფრქვევა კონებად... ხოლო დიდ დღესასწაულებსა და ღვთისმსახურების დროს ჯვრიდან გვირგვინისებური გამოსხივება შეინიშნება. მეტი ჯვრის ვერტიკალური შემადგენლიდან ეს ენერგია ტაძრის სივრცეში ხდება და იქ ელექტრული ენერგიის უზარმაზარ პოტენციალს ქმნის. ამიტომაც ტაძარი, თანამედროვე კვანტური მექანიკის თვალსაზრისით, ენერგიის უზარმაზარ გამომსხივებელს წარმოადგენს. ეს გამოსხივება უზარმაზარ მანძილზე გრცელდება და, ფაქტიურად, თავის გარშემო არსებული სივრცის მთელ ელექტრომაგნიტურ სტრუქტურას გარდაქმნის. ამას შემდეგ უზარმაზარი ძალის უფრო ფაქიზი ველების გარდაქმნა მოსდევს, ანუ ტაძრის გარშემო სივრცე მთლიანად იცვლება. ჯვრები თვით მიტრევეულ ტაძრებშიც კი გამოსხივებენ ენერგიას. ყველა ჯვარი სხვადასხვა ხარისხისა და გამოსხივებს. ყველაზე ძლიერად ოქროსი, ლითონის – შედარებით ნაკლებად გამოსხივებს ხის ჯვარიც. ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ ჯვრის ვერტიკალური ნაწილი კოსმოსურ რადიაციას ღებულობს, პირიზონტალური ნაწილი კი მას დედამიწის ზედაპირზე გადაასხივებს. ჯვარი წარმოადგენს ელექტრული მუხტების ყველაზე ძლიერი გამოსხივებელს და, სხვათა შორის, მაცოცხლებელი მუხტებისა, რომელთა რაოდენობა დედამიწაზე არა ემარაგება. ეს წმინდა ფიზიკური მოვლენაა. ჯვარი – ესაა დედამიწაზე სასიცოცხლო ძალების კვების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გამოვლენა. მეორე ასეთი არ არსებობს ბუნებაში“.**

საგარეჯო – მოჭილაგმითა სამაქედლო წინაპართა ნაკვალევზე

მისი დიდი არჩევანი

ჩვენი სახელოვანი წინაპრები ჭილაგმის კორიფე

ბარბე კახეთს და კერძოდ საგარეჯოს მხარეს ძველთაგანვე ფალავანთა კერას უწოდებდნენ.

მართალია ფალავანთა სპორტული ასპარეზობის არეალი ვიწრო გეოგრაფიულ გარემოში იყო გამოკეტილი, ეკლესია-მონასტრებში გამართული დღეობები იყო მათი საასპარეზო, მაგრამ ზეპირსიტყვიანობამ და თაობათა სსოვნამ დღემდე შემოუნახა მომდევნო თაობებს ღვეგენდადქცეული ადამიანების სახელები.

თავისუფლებისმოყვარე, ამაყი და შემმართველი ხალხის წიაღში წარმოშობილი ღვეგე-მირი, ბეჭდაუდებელი ფალავნების პლეადაში დღესაც ბრწყინავენ ჩაუქმრად შუქურებად ოლაგირი და ლაპრიკანჯი, სოლომონ ბუტულაშვილი და დიდი იაკოფა. უფრო ახლო პერიოდის – მე-19, მე-20 საკუნეთა მიჯნების ფალავნები ფრიდონ მეკოკიშვილი, ფილო გრატიშვილი, ღვეგან დალაქიშვილი, მიხა და საზონა კეკელიშვილები, სანდრო ქველივიძე, კოლა თულაშვილი (თამარაანთ კოლა), კოლა დიდმელაშვილი და მრავალი სხვა.

ღღვეგენდელ ჩვენს ნარკვევში საუბარი გვექნება ქართული ჭილაგმის კორიფე მიხა ქურხულზე.

* * *

როცა საზუანთ მიხუა ამ ქვეყანას მოეწვინა, საგარეჯო ჯერ ისევ შუა საუკუნეების ძილს იყო მიცემულა, ციხე-კოშკებით და ეკლესია-საყდრებით დამშვენებულ გარემოს სევდისმომგვრელად შემოჯაროდა აქაურ გლეხკაცთა ქოხ-მახები.

ქურხულიანთ უბანში, ძველისძველი კოშკის გვერდით იდგა ლაზარე ქურხულის ქოხიც და სწორედ აქ დაიბადა მომავალი ფალავანი 1879 წელს. პატარა მიხას ბედად დაჰყვა ლუკმა-პურის საძებნელად წაწვადი. ადრე დაობლებული მიხა, მცირეწლოვანი და-ძმების სარჩენად დაქვრივებული დედის ერთადერთ იმედს წარმოადგენდა და აქი არც უღალატია ოჯახისთვის მეოცნებე ჭაბუკს.

უკვე მოღერებული ჯეკელი პეტრე-პავლესთან კვირაცხოველში თუ ნინოწმინდაში – დღეობებში გამართულ ჭილაგმებში თავის ტოლებში ბეჭდაუდებელ მოჭიდავედ ითვლებოდა, მაგრამ ბედის ტრიალმა და ლუკმა-პურის ძებნამ ჭაბუკი მიხა 1906 წელს თბილისში ჩაიყვანა და მეკალბასე იაგორას მოჯამაგირედ აქცია.

ეს ის დრო იყო, როცა თბილისში ჭილაგმა მარტო სპორტული გატაცების საგანი კი არა, არამედ ზოგიერთებისთვის ფულის შოვნის საშუალებადაც იყო გადაქცეული.

მიხა ქურხული მოშაობისგან თავისუფალ დროს ჭილაგმის ჟინს იკლავდა „ფიქრის გორახე“ და დიდუბეში „კინაზების კრუგში“ გამართულ შეჯიბრებებზე. მერე ნაცნობ-მეგობრების რჩევით და ცნობილ ფალავან ნესტორ ესებუას რეკომენდაციით მიხა ქურხული უკვე დიდ სპორტულ სარბიელზეც გავიდა.

პირველი ასპარეზობისთანავე მიხამ გულშემატკივართა მთელი არმია გაიჩინა. მისი წარმატებებით გახარებულმა ნესტორ ესებუამ იგი დასავლეთ საქართველოში წაიყვანა საასპარეზოდ.

1907 წლის 10 ივნისს გაზეთი „ისარი“ აცხადებდა: „დაბა ჭიათურაში 10 და 11 ივნისს კავკასიის უძლეველი ფალავნის ნესტორ ესებუას თაოსნობით გაიმართა დიდი საინტერესო ქართული ჭილაგმა. იჭიდავებენ მიხა ქურხული და საჩხერელი კ. არჯევანიძე.

მიხამ კ. არჩევანიძე მოხდენილი კისრულით გააკრა ბეჭებზე და მაყურებელთა ოვაცია დაიმსახურა.

მიხა ქურხულმა იმავე წლის 2 სექტემბერს ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია ხაშურელ ფალავან ილიკო ლაბაძესთან, ხოლო ორიოდ კვირის შემდეგ თბილისში, ნიკიტინის ცირკში გამართულ შეჯიბრებაში დაამარცხა ცნობილი ფალავანი გიორგი ოდიშელი – „ჯიბგირი“. ამის შემდეგ მიხა ქურხული კიდევ ორჯერ შეხვდა გიორგი ოდიშელს და ორჯერვე ბრწყინვალედ მოუგო. შედეგ-რეზულტატმა გიორგი ოდიშელმა თურმე ასე მიმართა მიხა ქურხულს: „ამიღე რაღა, და ეგ არის! მე შენ არასოდეს აღარ გეჭიდავებო!“.

„ჯიბგირზე“ გამარჯვებამ მიხას ფართოდ გაუთქვა სახელი და უძლეველ ფალავანად იქნა აღიარებული.

ჭილაგმის მოყვარულებმა და მიხას თავ-განისმცემლებმა ასეთი სიმღერა შეთხეს:

„ფიშები გამოვიდა
ჭრელ-ჭრული, შავი, თაღხი,
„ჯიბგირი“ გაულახია
ყველგან ლაპარაკობს ხალხი.
აქებს მიხა ქურხულსა
განთქმული ფალავანია,
ვინც ნახა ნაჭიდავები,
სულ მასზე დარჩა თვალთა.
ვინც უძეს ყველას ეჭიდა,
ხელი არავის გაუშო, ვისაც რომ ხელი
მოავლო, ფეხზე არავინ გაუშო...“

მიხა ქურხული 1909 წელს გორში ჩატარებულ ასპარეზობაზე თექვსმეტი მოჭიდავე წააქცია და გორის მკრის თავადზნაურობის მიერ ოქროს მედლით იქნა დაჯილდოებული. მედალს ასეთი წარწერა ჰქონდა: „წაუქცეველ ფალავანს – ჭილაგმის მოყვარულებისაგან“

მიხა ქურხული 6 წელს ითვლებოდა ბეჭდაუდებელ ფალავანად და ამ პერიოდში მის მიერ იქნენ დამარცხებული ისეთი ცნობილი ფალავნები, როგორებიც იყვნენ დათა მსუქნიშვილი, იოსებ ცერაძე, ალექსანდრე კახნიაშვილი (შაშო ვერელი), კოლაი ქვარიანი, ვ. მიღელაური, გიბილაშვილი, ბერუაშვილი და მრავალი სხვა.

1912-1913 წლებში, ნიკიტინის ცირკში, კლასიკურ ჭილაგმაში ჩემპიონატის ჩატარების დროს, კლემენტი ბულის ინიციატივით ჩემპიონატის ყველა მონაწილე ქართულ ჭილაგმა-საც დაუფლებია მეტი მაყურებლის მოზიდვის მიზნით. თვითონ კლემენტი ბულმა ქართული ჭილაგმა ორი კვირის განმავლობაში შეისწავლა და ყველა ფალავანი გამოიწვია, მათ შორის მიხა ქურხულიც.

ამ ჩემპიონატში მიხა ქურხულმა ჩამოსული რუსი მოჭიდავეებიდან დაამარცხა სიმიაკინი, „ჩორნი ვორონი“ და სხვები. ამ ჩემპიონატშიც გაიბრწყინა კომპეტასავით მიხა ქურხულმა და თითქოს დასრულდა კიდევ მისი სპორტული კარიერა.

წლებმაც თავის ქნა. სულ ბოლო ასპარეზობა მიხა ქურხულისათვის შედგა 1915 წელს, ესპიკოსის ცირკში, როცა იგი 46 წლისა იყო. იგი შეერკინა 22 წლის ფალავანს ვანო წიკაძაშვილს (გლდანელს) და ორთაბრძოლაში დამარცხდა. ეს ასპარეზობა მისთვის „გაღის სიმღერა“ უფრო იყო. მიხა ქურხულში რაინდული სული ტრიალებდა. იგი შური-თა და ღვარძლით როდი განიშლავდა თავისი მძლეველის მიმართ. მიხამ გულში ჩაიკრა ახალგაზრდა ფალავანი, გულწრფელად გადააკრწა ვანო წიკაძაშვილი და სპორტული დღეობის გზა დაულოცა, თვითონ კი სამუდამოდ აიღო ხელი ჭილაგმაზე. იგი დაბრუნდა მშობლიურ საგარეჯოში და სოფლის მეურნეობას მოჰკიდა ხელი. მიხა ქურხულმა 81 წელი იცოცხლა ამ ქვეყანაზე და ვაღმოსხილი გამოეთხოვა თავისიანებს 1960 წელს.

მიხა ქურხული ერთ-ერთი აღიარებული ფალავანი იყო გარე კახეთში, რომელმაც შორს გასტყორცნა მისი სახელი. მის ტრადიციებზე აღიზარდა გარეკახელ – გარეჯელ მოჭიდავეთა პლეადა. მის გზას გაჰყვნენ არწივის ბუდიდან აფრენილი ჭაბუკები: მიხა ყუშიტაშვილი, შალვა გიბრიშვილი, არსენ მეკოკიშვილი, არჩილ ონაშვილი და სხვები, რომლებმაც საქვეყნოდ ასახელეს მშობლიური კუთხე.

დღეს გარეკახეთის საგარეჯოს რაიონი ამჟამოებს ბეჭდაუდებელი, მსოფლიო მნიშვნელობის ფალავნებით – არსენ მეკოკიშვილით და მრავალი სხვებით.

ა.ლ. თხაგლაშვილი
გაზეთი „ივრის განთიადი“. 1982 წ.

კიდევე ერთი მიზანდასახული მოჭილაგვი

ნათყვამია. „ქვეყნად რამდენი ადამიანი-ცაა, იმდენი აზრი არსებობსო“, შესაბამისად მათ სხვადასხვა ინტერესები და სხვადასხვა ცხოვრებისეული მიზანი გააჩნიათ. ზოგს უნდა ცნობილი მომღერალი გახდეს, ზოგს მსახიობება სურს, ზოგს ექიმობა, ზოგს კოსმონავტიკა და მფრინავობა, ზოგს მუსიკოსობა და ვინ ჩამოთვლის, ამ ქვეყნად რამდენი პროფესია არ არსებობს. აი, ნინოწმინდელ ჭაბუკს ბიორბი რუსტომაშვილს კი სპორტი, კერძოდ თავისუფალი ჭილაგმა მოსწონს და მიუხედავად გარჯიშის დაწყებიდან სამი-ოთხიოდე წლისა, უკვე შეძლო საქართველოსა და არა მარტო ჩვენს ქვეყანაში ჭილაგმის გარეჯული სკოლის სახელის ნათლად წარმოჩენა, რომელსაც საფუძველი ღვეგენდარულმა გარეჯელმა მოჭიდავეებმა: მიხა ქურხულმა, არსენ მეკოკიშვილმა, ღვეგან თედიაშვილმა და სხვა ჩვენებურმა გამოჩენილმა სპორტსმენებმა ჩაუყარეს.



ეტყობა როსტომიშვილების გვარს გენებით მოსდგამთ ჭილაგმისა და ფალავნობის ტრადიციები, რომლებმაც გიორგიშიც იჩინა თავი. ბიძამისი ზაზა როსტომიშვილი ერთ-ერთ საუკეთესო მოჭიდავედ სახელდებოდა ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტულ გაერთიანებაში“ და 18 წლის ასაკამდე მოასწრო სამბოსა და ძიუდოში, ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის ჩემპიონის ტიტულისა და საპრიზო აღგილები დაკავება. იყო ევროპის ვიცე-ჩემპიონი სამბოში, მაგრამ დაოჯახების გამო აღარ გაუგრძელებია ჭილაგმა. გიორგის ნინოწმინდელი სეხნია და მოგვარე – გიორგი როსტომიშვილი – საქართველოს, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების არაერთგზის გამარჯვებული მედალგებში, ორივე ხელში...

აქ როგორ არ უნდა გახსენოთ გიორგის საგარეჯოელი თანამოგვარე ტარიელ როსტომიშვილი, თავისუფალ ჭილაგმაში ყოფილი სსრკ-ის ჩემპიონი...

ჰოდა, ასეთი გენების მქონე ადამიანი ჭილაგმის შესასწავლად რომ შევიდეს, გასაკვირია?! ზემოთქმულშიც რომ თავი დაგანებოთ, განა შორს ცხოვრობდა მისი ოჯახიდან და ნინოწმინდიდან გასული მსოფლიო ჭილაგმის ღვეგენდა, ხუთგზის მსოფლიო და ორგზის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ღვეგან თედიაშვილი! ისე, ცნობილია, რომ ყველა გვირგვინი დასაბამს და სახელწოდებას რაიმე საგნიდან და მოსაქმეობიდან იღებს და როსტომიშვილების გვირგვინი დასაბამს ცნობილ როსტომ გმირდიან ზომ არ იღებს?.. ახლა ამის კვლევის დრო არავის აქვს და მოდი, ისევ გიორგის მიეუბრუნდეთ. ასეთი ტრადიციებითა და გენებით დამუხტული ბიჭი 10 წლის ასაკში 2014 წელს საგარეჯოში ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ თავისუფალი სტილის ჭილაგმის წრეზე შევიდა, მწვრთნელ რამაზ ასაბაშვილთან და დავით ბაბუნიძესთან, რომელთაც ახალი თაობის არაერთი გამორჩეული მოჭიდავე აღზრდიან და ახლაც უზრდიან საგარეჯოსა და ჩვენს ქვეყანას.

ახლა კი იმის შესახებ, თუ რამ გადაგვაწყვეტინა ჩვენი მოჭიდავის შესახებ ამ წერილის მოზადება. გიორგის მიღწევების შესახებ ჩვენი გაზეთი რეგულარულად აწვდის ინფორმაციას ჭილაგმით დაინტერესებულ მკითხველებს, მაგრამ იმდენად შთამბეჭდავი წარმატებით დაიწყო მან ეს ახალი, 2025 წელი, რომ არ შეიძლება ამის არ აღინშენა. თებერვლის დასაწყისში, სულ რაღაც 4-5 დღეში მან შეძლო გამხდარიყო ჯერ საქართველოს, შემდეგ სომხეთის საერთაშორისო შეჯიბრებების ჩემპიონი და ორი ოქროს მედლის მფლობელი.

– გიორგი, თებერვლის დასწყისში შენ გახდი საქართველოს ჩემპიონი სამბოში, ახალგაზრდებს შორის. მოდი, მოგვიყევი ამ ასპარეზობის შესახებ, – ვეკითხები საგარეჯოს საკუთრების დაცვის სამსახურის საგარეჯოში დარბაზში მორიგი გარჯიშის დაწყების წინ ჩვენს ნინოწმინდელ ფალავანს...

– ეს ასპარეზობა – საქართველოს ჩემპიონატი სამბოში, ჩატარდა დიდი დილმის სპორტულ არენაზე, 6 თებერვალს. აქ მე ვიჭიდავე 51 კგ წონით კატეგორიაში 2009-2010 წლებში დაბადებულ მოჭიდავეთა ასაკობრივ ჯგუფში, სულ მომიხდა 4 ორთაბრძოლის გამართვა, რომლებიც ყველა ჩემს სასარგებლოდ დავასრულე და ჩემპიონის ოქროს მედალიც დავისაკუთრე.

– ამის შემდეგ, შენ, 4-5 დღეში სასომხეთში ჩატარებული საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულის ოქროს მედლითაც გაახარე შენი ოჯახი, მწვრთნელები და გულშემატკივრები...

– ეს საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭილაგმაში ჩატარდა 10 თებერვალს, სომხეთის ქალაქ არტაშატში, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ოთხი ქვეყნის: სომხეთის, მოლდოვას, ყაზახეთის და საქართველოს ამ სტილის მოჭიდავეები. აქ მე კვლავ 51 კგ წონით კატეგორიაში ვიჭიდავე. ფინალამდე შეხვდი და დავამარცხე სამი სომეხი მოწინააღმდეგე, ფინალში კი ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი და გავხდი ჩემპიონი.

– სომეხმა გულშემატკივრებმა „ბაღეშინიკობა“ იცინა, მტრისას! მოდი ახლა 2024 წელს ზარიბეგ ბერიაშვილის ტურნირზე შენს მიერ მოაწვებელი წარმატებების შესახებაც მოგვიყევი რამე...

– ეს ტურნირი გასული წლის 2-3 დეკემბერს ჩატარდა გლდანის სპორტულ არენაზე, სადაც ჩემს ჩვეულ 51 კგ წონით კატეგორიაში ვიღებდი მონაწილეობას. აქ შეხვდი და დავამარცხე დილმის, გორის, დიდი დილმის წარმომადგენლები, ფინალში კი ქუთაისელი ბურჯანაძე და 5 გამარჯვების შედეგად გავხდი ასპარეზობის ჩემპიონი.

– გიორგი, თუ გახსოვს შენი პირველი გამარჯვება და ფიქრობდი თუ არა მაშინ, რომ შეგეძლო ასეთი წარმატებების მიღწევა?

– როგორ არ მიფიქრია და ის წარმატებაც კარგად მახსოვს! ეს იყო 2019 წელს. III პრიზიორი გავხდი საგარეჯოში გამართულ ასპარეზობაში 23 კგ წონით კატეგორიაში. ასევე ვარ 2023 წლის საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორი.

– შენი სწავლა-განათლების საქმე როგორ მიდის, სად იღებ განათლებას ნინოწმინდასა თუ საგარეჯოში?

– ესწავლობ ნინოწმინდის საჯარო სკოლაში და ამჟამად ვარ X კლასში.

– ამ ასაკში გადაწყვეტილი გექნება შენი სამომავლო მიზნები. ვინ გინდა გამოხვიდე პროფესიით?

– ამაზე ფიქრი მე არ მჭირდება. გადაწყვეტილი მაქვს ბოლომდე გავყვე სპორტს.

– ვინ არიან თავისუფალ ჭილაგმაში შენი მისაბამი ფალავნები. ფალავნებს ვამბობ, თორემ ამ დარბაზში, ამ სალიანზე ბევრს „უგორავია“, მაგრამ ამ გორაობის მეტი აქედან ვერაფერი გაუტანიათ...

– ესეთი გახლავთ ჩვენი მსოფლიო დონის, საქვეყნოდ ცნობილი ფალავნები: ჩვენი თანამემამულე ღვეგან თედიაშვილი, ვლადიმერ ხინაგაშვილი და გერო პეტრიაშვილი.

– სამივე ეს ფალავანი საქართველოს და მსოფლიო სპორტის ღვეგენდა და სიამაყეა, მაგრამ მოდი, ისევ ჩვენებური კაცის – თედიაანთ ღვეგანას გამარჯვებების დარი გზით გატაროს ღმერთმა.

გივი ლაბაზიშვილი

სპორტი

ქართული ჭიდაობის ფესვები ბარეჯში

მსოფლიოს ბევრი მეცნიერული კვლევებისა და არქეოლოგიური მასალების ანალიზისა და

შეჯერების შედეგად დგინდება, რომ ქართული ჭიდაობის ფესვები კაცობრიობის ცივილიზაციის გარიჟრაჟზე იღებენ სათავეს. ეს დასკვნები უფრო მეტად გააღრმავა XX საუკუნის შუა ხანების არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა. შუამდინარეთში გაითხარა უძველესი ცივილიზაციის ნაშთები, სადაც უამრავ აღმოჩენასთან ერთად ნაპოვნი იქნა ჭიდაობის უძველესი სახეობის გამოსახულებები.

ძველ შუემერებში, როგორც აღმოჩნდა, ჭიდაობას საკულტო დანიშნულება გააჩნდა, რისი ნიმუშებიც წარმართული ტაძრების ტერიტორიების გათხრისას აღმოაჩინეს. ამ აღმოჩენათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია შუამდინარეთში, დილაის ხეობაში, მდინარე ტიგროსის შენაკადზე წარმართული ტაძრის გათხრისას ნაპოვნი ბრინჯაოს ღვინის სასმისი, რომლის საყრდენებზე გამოსახულია ჭიდაობის ამსახველი კომბინაცია – ორი ათლეტური ადნაგობის მოჭიდავეს, რომლებსაც მხარი მხარზე აქვთ მიყრდნობილი, ერთმანეთისთვის სარტყელში აქვთ ჩაყრილი ხელი. ამ კომბინაციას ყველაზე მეტად ქართული ჭიდაობის იმ სახეობასთან აქვს ახლოობა, რომელსაც ქართლ-კახეთში „ლოჯური“ ეწოდება.

ჭიდაობის ეს უძველესი ხერხი. ფართოდ იყო გამოყენებული საქართველოს ყველა კუთხეში და შენარჩუნებული ჰქონდა საკულტო ხასიათი. ალბათ ამიტომაც ჩვენს დროშიც, თითქმის არცერთი რელიგიური დღესასწაული ჭიდაობის გარეშე არ ჩატარდება. (განსაკუთრებით ჭიდაობით განთქმულ ჩვენს მუნიციპალიტეტში).

ჭიდაობის ეს ხერხ-სახეობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელითაა ცნობილი, თუმცა ილეთები ყველგან უცვლელია. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ სხვადასხვა კუთხეში მას სხვადასხვა სახით მოიხსენიებდნენ. რაჭაში მას „ლოჯური“ ჰქვია, გურიაში – „ჭედაობა“, აჭარაში – „მატეკრობა“, საინგილოში – „ქამარ-ქამარ“, რაც ვფიქრობთ, ყველაზე უკეთ გამოხატავს შუამდინარეთში ნაპოვნ სასმისზე გამოსახულ ჭიდაობის სცენასთან ახლობლობს. ერთი სიტყვით, ქართველები, სხვა ერებთან და ხალხებთან შედარებით ამ კუთხითაც ვართ გამორჩეულნი და რა თქმა უნდა, ამ საქმეში არც გარეჯელი ფალანგები თუ არ ამტკებენ, არაფრით ჩამოუვარდებიან ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხის მოჭიდავეებს. ამას მოწმობს ჩვენამდე მოღწეული ისტორიული ცნობები, თქმულებები და დღევანდები, ის სახელი და დიდება, რითაც ძველი დროიდანვე სარგებლობდა ჭიდაობის გარეჯული სკოლა და მისი ბრწყინვალე წარმომადგენლები.

ტრადიციულად, როცა საუბარი გარეჯაზედ ფალანგებს ეხება, მათ მამამთავრად ღვგენდარული საგარეჯოელი ფალანგი, უბადლო ქართული სკოლის მოჭიდავე **მისა შოხაშვილი** სახელდება, რომლის სახელი მთელ საქართველოში და დედაქალაქშია ქუხდა. ბეჭდაუდებელი ფალანგი იყო ხაშმელი **ივანე ყირმაშაშვილი**, ცნობილი „კულა გლდანელი“, რომლის სახელსაც სადღესიოდ თბილისში არსებული ერთ-ერთი სპორტული ბაზა ატარებს. ქართული ჭიდაობით დაიწყო თავისი სპორტული კარიერა მსოფლიოსა და სსრკ-ს უძველესმა და ღვგენდარულმა ფალანგმა გიორგიწმინდელმა **არსენ მამოკიშვილმა**, **ლევან თეძაშვილმა**, მსოფლიოს ხუთგზის და ორგზის ოლიმპურმა ჩემპიონმა. ქართული ჭიდაობა უცხო ხილი არ ყოფილა სხვა ცნობილი ტიტულოვანი გარეჯელი ფალანგებისათვის, რომლებიც მუდამ აღნიშნავდნენ ქართული ჭიდაობის და მისი ილეთების დიდ დამსახურებას, მათ მიერ მიღწეული მაღალი დონის შედეგებში საქართველოს, ყოფილი სსრკ-ს, ევროპის თუ მსოფლიო და ოლიმპიური დონის ასპარეზობაში. უფრო უპირაინი იქნება ვთქვათ, რომ ქართული ჭიდაობა ყველა მათგანსა და თითოეულ ქართველში ოდითგანვე გენეტიკურად ჩაუდგამს და მოუმაღლებია უფალს.

ქართულ ჭიდაობაზე უფლისაგან ბოძებულ ამ დიდ საგანძურზე ვსაუბრობთ და ამ სიმდიდრის მქონე ქართველებმა იმდენიც შექმნა, რომ იგი მსოფლიო დონეზე გაგვეტანა და გამოგვეჩვენა ბინა (თუ არ ჩავთვლით გასულ წელს ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატს), მაშინ როცა სხვა ქვეყნებმა შექმნეს ხელოვნურად შექმნილი ჭიდაობის სახეობის პოპულარიზაცია და ქართულიდან სხვადასხვა ილეთების მითვისება. ამის გამო ქართული ჭიდაობა (რბილად რომ ვახსენოთ, ცოტა არ იყოს, „წრიდელში“ მოექცა და მხოლოდ ქვეყნის მასშტაბით – რესპუბლიკური პირველობებით შემოიფარგლება – რომლის უმაღლესი შეფასება – საქართველოს აბსოლუტური ფალანგის წოდების მოპოვებაა.

თუ არ ჩავთვლით ამ წერილში ზემოხსენებულ ჩვენს დიდ ფალანგებს, ეს წოდება საგარეჯოელ ფალანგებს არაერთხელ მოუპოვებიათ სხვადასხვა წლებში, თუმცა 1995 წლის შემდეგ ქვეყნის უმაღლესი ფალანგი თითქმის 30 წელი აღარ გვეოლია. სულ ბოლოს საქართველოს ფალანგები იყვნენ საგარეჯოელი **ბილა კუპატაძე** (1993წ.) და პატარძელედი **ვაჟიშვილი** (1995წ.) და აი, ამ 30 წლის შემდეგ 2023 წელს ეს ტიტული ისევ მოიპოვა საგარეჯოელმა **ლევან მათიაშვილმა**, ქ. ქუთაისში და იგი ასევე გახლავთ ქართულ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი. რაც შეეხება მუნიციპალიტეტში ქართული ჭიდაობის დღევანდლობას და მისი პოპულარიზაციას, ამ საქმეს სათავეში უდგას ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება“, მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის თანადგომითა და მხარდაჭერით. მათი ძალისხმევითა და ჩვენი მწვრთნელების დიდი მოწადინებით აქ ბევრი ქართულის მოჭიდავე ფრთიანდება და მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწევს რეგიონულ თუ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, როგორც გუნდურ, ისე პირად პირველობებში. ამის საილუსტრაციოდ თუნდაც მათი ამ ბოლო ორი წლის მანძილზე მოპოვებული წარმატებებიც იკმარებს. მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია კასპში, სოფელ ნოსტეში 2023 წელს ქართულ ჭიდაობაში ჩატარებული გიორგი სააკაძის სახელობის რესპუბლიკურ ტურნირში მოპოვებული **გუნდური პირველი ადგილი**. იგივე კასპში 2024 წლის 2-3 აპრილს ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში 2007-2008 წლებში დაბადებულ მოჭიდავეებს შორის, სადაც ჩვენებურებმა ორი ოქროს, ერთი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. აქ ჩემპიონები გახდნენ **ლუკა ღარსიანაშვილი** (55 კგ), **მანუჩარ ზიბაძე** (60კგ). ვერცხლის მედალი მოიპოვა **მეზაბ ზირაძე** (55კგ), ბრინჯაო – **ნუზარ ნაცვლიშვილი**.

6 მაისს გიორგობის დღესასწაულზე სოფელ გიორგიწმინდაში ქართულ ჭიდაობაში გამართულ არსენ მეოკიშვილის სახელობის II რესპუბლიკურ ტურნირზე თავი ისახელეს **რამიზ ორსაბაშვილმა**, **მეზაბ ზირაძე** (55კგ), **ლუკა ღარსიანაშვილი**, **თაოზ შოროშვილი** (40კგ), **ალექო ბაქიაშვილი** (45კგ), **მათე მათიაშვილი**, **რამიზ ორსაბაშვილი** (ორივესავე), **ლუკა შიბინაშვილი** (55კგ), **ნოზარ ელმარაშვილი** (60კგ), **გიორგი ბაქიაშვილი** (მედიუ წონა).

მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ საგარეჯოში ქართულ ჭიდაობას გამოუჩნდნენ ქიმაგები ჩვენბური ბიზნესმენების სახით. 16 ოქტომბერს სოფელ მხისგულის მეკიდრის გიორგი ჩოკოშვილის ფინანსური მხარდაჭერით საგარეჯოში ჩატარდა კახეთის გუნდური რეგიონული პირველობა ქართულ ჭიდაობაში 2010-2011 წლებში დაბადებულ მოჭიდავეებში, სადაც კახეთის მუნიციპალიტეტების სპორტგაერთიანებები თითოეული რამდენიმე გუნდით იყვნენ წარმოდგენილი. აქ პირველობა არავის დაუთმო ჩვენი სპორტგაერთიანების გუნდმა „**საგარეჯო-1**“ (აღეკო ბეგიაშვილი, მათე მათიაშვილი, ლუკა ფორცხელანი, ვაჟა გენგაშვილი, ერეკლე ლომაძე). III საპრიზო ადგილზე გავიდა „**საგარეჯო-2**“ მათ გარდა სხვადასხვა წლებში და სხვადასხვა საპრიზო ჯგუფებში და წონით კატეგორიებში საქართველოს ჩემპიონის წოდების მფლობელები არიან მანაველი **ირაკლი კუპატაძე**, საგარეჯოელი **ამირან ღარსიანაშვილი** და სხვა მრავალი. მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ვერ ვიტყვით, რომ ჩვენი ეს ეროვნული საუნჯე ზოგადად მთელ ქვეყანაში სხვა ჭიდაობებთან მიმართებაში პრივილეგირებულ მდგომარეობაში გახლდეთ, ამის მისაღწევად ბევრი რამის გაკეთებაა საჭირო და გვეჯერა, თუ საჭირო გახდა ამ საქმეში უკან არც გარეჯელები დავიხვეთ.

გიორგი ღარსიანაშვილი

ჭიდაობა

ბიუდო

საპარტოშელოს სარეიტინგო ჩემპიონატში 2011-2012 წლებში დაბადებულ ძიუდოისტებს შორის მონაწილეობას იღებდნენ ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ ნორჩი ძიუდოისტები.

გამოვლინდნენ ჩემპიონ-პრიზიორები შემდეგ წონით კატეგორიებში:

- 46 კგ: **ალექო ბაქიაშვილი** (ოქრო) **მეზაბ ზიბაძე** (ვერცხლი)
- 50 კგ: **ნოზარ შხალაძე** (ვერცხლი)
- 42 კგ: **დიმიტრი ყიფიანი** (ბრინჯაო)
- 66კგ: **ნოზარ ელმარაშვილი**. (ბრინჯაო).



ბერძნულ-რომაული ჭიდაობა
16-18 თებერვალს ქუთაისში ჩატარდა ჯემალ კოსტავას სსოფინსადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა შორის, (უმცროს ჯგუფთა ასაკში).

- შეჯიბრში მონაწილეობას იღებდა 200 სპორტსმენი, მათ შორის ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ აღსაზრდელები (მწვრთნელი თამაზ ყიფიანი).
- საპრიზო ადგილები დაიკავეს:
 - ნიკოლოზ ყიფიანი** - II ადგილი (-23 კგ)
 - გიორგი ბაშაშვილი** - III ადგილი (-41 კგ)
 - გიორგი შიბინაშვილი** - III ადგილი (-47კგ)



ჭადრაკი
რეგიონული ჩემპიონატის ბარეჯელი ჩემპიონები და პრიზიორები



იანვრის ბოლო რიცხვებში (25-26) ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ და კახეთის სამხარეო ჭადრაკის ფედერაციის ძალებით საგარეჯოში ჩატარდა რეგიონული პირველობა 8 და 12 წლამდე გოგონებსა და ბიჭებს შორის. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ მასპინძელი საგარეჯოს, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, ახმეტისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტების ამ წლებში დაბადებული მოჭადრაკე ვაჟები და გოგონები.

8 წლამდე ჯგუფში ასპარეზობაში ვაჟებში 7-დან 7 ქულით პირველი ადგილი და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა მწვრთნელმა **ირაკლი ქვლივიძის** ნიჭიერმა აღსაზრდელმა **იოსებ ლოლაძემ**. ამის დასტურია თუნდაც გასული წლის დეკემბერში თბილისის ღია ჩემპიონატზე მოპოვებული ჩემპიონის წოდება, როცა შეძლო 7 შესაძლებლობიდან 6.5 ქულის მოპოვება. აქვე აღსანიშნავია, რომ მან 1 წლის ასაკით უფროს ბიჭებთან (ამჟამად იგი 7 წლისაა) უწევდა მეტოქეობის გაწევა.

8 წლამდე გოგონებში ჩემპიონის ტიტული 6-დან 6 ქულით დამსახურებლად მოიპოვა ასევე საგარეჯოელმა **მარიამ ჭამიაშვილმა** (მწვრთნელი **ელენე ფარეშაშვილი**). ამავე ასაკში II საპრიზო ადგილი დაიკავა **ირაკლი ქვლივიძის** ჭადრაკის წლის წევრმა **ელენე ჭამიაშვილმა**.

12 წლამდე გოგონებში I ადგილი იოსებ ლოლაძის დამ – 10 წლის **ნუკი ლოლაძე** დაიკავა (მწვრთნელი **ი. ქვლივიძე**).

ამავე წლიან ვაჟებში ჩემპიონი გახდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი მათე მარტყოფიშვილი (მწვრთნელი სოსო კიკილაშვილი).

როგორც ამ ცნობის მოწოდების შემდეგ ირაკლი ქვლივიძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა – მარიამ ჭამიაშვილს დიდი პოტენციალი გააჩნია დიდ ჭადრაკში შესასვლელად და მომავალში მისგან უფრო მეტი და მნიშვნელოვანი წარმატებები მოსალოდნელი.


გიორგი ღარსიანაშვილი

ქველი საკულტო სანახაობა „ბერიკაობა“

ბერიკაობა, ქართული ხალხური იმპროვიზაციული ნიღბების თეატრია. ტერმინი ბერიკაობა განაყოფიერებისა და შეილიერების კულტის საღიდელო სანახაობას აღნიშნავს და მას ბერიკები ასრულებდნენ. სცენარები, რომელთა საფუძველზეც იქმნებოდა ბერიკული წარმოდგენები, საუკუნეთა მანძილზე იცვლებოდა, ახალი შინაარსით მდიდრდებოდა და თაობიდან თაობას



გადაცემოდა. დროთა ვითარებაში ბერიკაობამ დაკარგა საკულტო-რელიგიური დანიშნულება და მშრომელი ხალხის ცხოვრების, მისი მისწრაფებების გამომსახველად იქცა. ჩვენამდე მოღწეულია ბერიკაობის 100-მდე სიუჟეტი. მათი უმეტესობა კომიკურია და ძირითადად შექმნილია საყოფაცხოვრებო თემაზე. ბერიკაობა სამგვარი წყობისა იყო: კარდაკარ სასიარულო, მოედანზე სათამაშო და სადარბაზო. საგანგებოდ



შერჩეულ მოედანზე იმართებოდა დიდი ბერიკაობა, რომელსაც ზოგჯერ 100-მდე შემსრულებელი ჰყავდა. მისი ტრადიციული ნიღბები იყვნენ: მევე (სასიძო), კეკელა (სარძლო), მაჭანკალი, გლეხი, თავადი, თათარი, მოსამართლე, ექიმი, ხუცესი, აგრეთვე ტახტი, დათვი, თხა და სხვა ცხოველები. დიდ ბერიკაობაში მხოლოდ მამაკაცები მონაწილეობდნენ (ქალებისა და მოზარდების ბერიკაობა ცალკე იმართებოდა). საქართველოში ცნობილი ბერიკები იყვნენ XVIII საუკუნეში ოთარ ნოროეული და ოიანა-ბიანა, XIX საუკუნის I ნახევარში — აბელ რევაზიშვილი. XXI საუკუნეში ბერიკები თბილისშიც გამოჩნდნენ.

დღეისათვის, დიდმარხვის ყველიერის კვირაში, თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში, მათ შორის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში პატარა ჩაილურსა და დიდ ჩაილურში ფართო მასშტაბით იმართება „ბერიკაობა“. დიდიდანვე ძროხის, ცხვრისა და თხის ტყაებში შემოსილი, ნიღბებით სახედაფარული კაცები ყიჟინით მოედებიან სოფლის ქუჩებს. ქუჩებში გამოფენილი ქალები და მოზარდები „მოკრძალებით“ სთავაზობენ ღვინოს, პურსა და ყველს, ხაჭაპურებს, კეების პროდუქტებს. თუ ვინმე შესაბამისად არ გაუმასპინდლება, მათ ეზოს, სახლს ნაკელში ამოვლებული ძროხის კუდით აგადაძაზვებენ, არც შემხვედრ მანქანებს „დაინდობენ“... სოფლის შუაგულში, ან მოედანზე ჩამოხვეულ საქანელაზე — „კაჩაიაზე“ ქალები ქანაობენ, ეს კი წელის მყარად შენახვას ნიშნავს... სცენაზე ერთმანეთს ცვლიან მომდერდები და მოცეკვავეები, ნახერხმოყრილ საჭიდაო მოედანზე ქართული ჭიდაობა იმართება, სადაც გამარჯვებულს პრიზს — ჭედლიას გადასცემენ. დროდადრო ყველგან ჩნდებიან ხოლმე ბერიკები — სახალხო თეატრალიზებული წარმოდგენების მონაწილეები.

ბერიკაობა ატარებს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს.

საინფორმაციო უზენაესი



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ ბუღიაშვილმა, მოადგილეებთან და სოფლის წარმომადგენლებთან ერთად, სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების კახეთის რეგიონული ცენტრის უფროსთან **გიგაპოლკოვნიკთან** შალვა მეღვინაშვილთან საინფორმაციო შეხვედრა გამართა, რომლის ფარგლებშიც, წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურთან დაკავშირებული ცვლილებები განიხილა.

საქართველოს თავდაცვის კოდექსის თანახმად, 2025 წლიდან წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გასაწვევად წვევამდელთა შერჩევა განხორციელდება ყოველწლიური შემთხვევითი შერჩევის პრინციპის საფუძველზე.

წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის გავლა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში.

წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის ვადები და ანაზღაურება:

- საბრძოლო ქვედანაყოფში სამსახურისთვის 6 თვის ვადით - დარიცხული ანაზღაურება 765 ლარის ოდენობით.
- საბრძოლო მხარდაჭერისა და საბრძოლო უზრუნველყოფის ქვედანაყოფში სამსახურისთვის 8 თვის ვადით - დარიცხული ანაზღაურება 635 ლარის ოდენობით;

წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში ნებაყოფლობით, საკუთარი სურვილით გაწვეულ პირს წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში დაწესებული ანაზღაურება მიეცემა 30 პროცენტით მეტი ოდენობით.

საბრძოლო ქვედანაყოფში სამსახურისთვის 8 თვის ვადით - დარიცხული ანაზღაურება 635 ლარის ოდენობით;

წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში ნებაყოფლობით, საკუთარი სურვილით გაწვეულ პირს წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში დაწესებული ანაზღაურება მიეცემა 30 პროცენტით მეტი ოდენობით.



ახალბაზრების წასახალისებლად ბამარჯვების საწინდრად

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ ბუღიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი ბილაშვილთან და სპორტული გაერთიანების ხელმძღვანელ - მამუკა კუჩუაშვილთან ერთად წარმატებულ სპორტსმენებს სპორტული ფორმების გაუნერგები გადასცა.

„მეგზავლები როგორც პროფესიონალები, ასევე სამოგზავლო სპორტის განვითარებას, ჩვენ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელეთ სპორტის ხელშეწყობის მიზრთულებით, რათა უფრო მეტი წარმატებული სპორტსმენი აღეზარდოთ ჩვენს მუნიციპალიტეტს. ასევე, აქტიურად ვახორციელებთ წარმატებული სპორტსმენი ბავშვების მხარდაჭერის პროგრამას. იმედს ვიტოვებ, რომ ჩვენი ქმედითი ნაბიჯები ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატზე მიღებული წარმატებისთვის იქნება კიდევ ერთი დიდი სტიმული“ აღნიშნა ავთანდილ ბუღიაშვილმა.



ქეთი ბრატიაშვილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

რედაქტორი:
თინათინ ილაური



„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 23184601;
საიდენტიფიკაციო კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე“-ში
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრეს“-ში.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com